საქართველოს რესპუბლიკა

www.sakresp.ge



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბეჭდვის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ოთხშაბათი, 21 მარტი. 2018 წ. №57 (8458), გამოცემის მე-100 წელი | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 50 თეთრი.

ხალხის ყელში გაჩხერილები

„ქუჩების ომი“

3

გადამლაშებაა იმაზე საუბარი, რომ ქვეყანაში ყველაფერი კარგადაა. სისულელეა იმაზე აპელირება, რომ რაღაც რეიტინგებში წინ გადავინაცვლეთ, მაგრამ ყველაზე დიდი ზიანი, რაც ამ ომში ქვეყანას ადგება, არის უიმედობის, ბნელი მომავლისა და გამოუვალ მდგომარეობაში ყოფნის რეკლამირება.



5

მშიერი ქვეყნის მაძღარი ბანკები

ეკონომიკას უნდა მართავდნენ ხელისუფალნი და არა მსუნაგი ბანკირები

უპატრონოდ მიტოვებული ოცნებები



4

დაუჯერებელია, მაგრამ ფაქტია!



6

არქიტექტორის მომნუსხველობა მისის საერთაშორისო მოწყენილობის ფონზე

21 მარტი ქართული ჟურნალისტიკის დღეა!

ჩვენ, საუკუნოვანი გაზეთის ჟურნალისტები, მთელი სულითა და გულით ვულოცავთ ქართველ და საქართველოში მოღვაწე სხვა ეროვნების ყველა კალმოსანს თუ ტელე-რადიოჟურნალისტს პროფესიულ დღესასწაულს, მათ, ვინც თავის მხრებზე ზიდა მართალი და პრინციპული სიტყვის მძიმე ტვირთი, მათ, ვინც არ შეუშინდა უსამართლობას, ტოტალურ რეჟიმებს და ათასგვარ თავს მოხვეულ ავანტიურებს.

ბევრი ჩვენი კოლეგა სიკვდილ-სიცოცხლის ზღვარზე იდგა, მაგრამ არც უფიქრია, დაერღვია ჟურნალისტის ფიცი და „ბილწს არ შაჰკვროდა ზავითა“...

დღევანდელ მსოფლიოში, როდესაც ყველაზე პოპულარული, წამყვანი და უპირველესი იდეოლოგიური იარაღი ელექტრონული მედია, ტელევიზია და ინტერნეტი გახდა, ბეჭდვურმა სიტყვამ, გაზეთმა და ჟურნალმა მაინც შეინარჩუნა მეოთხე ხელისუფლების ხიბლი, ტრადიცია და რჩეული, გონიერი მკითხველის სიყვარული.

გმადლობთ, ერთგულებისთვის, ძვირფასო მკითხველო!

კიდევ ერთხელ გილოცავთ ამ ღირსშესანიშნავ დღეს!

იყო ქართველი ჟურნალისტი, ნიშნავს, არ გეშინოდეს სიმართლის თქმის, ემსახურო შენს სამშობლოს და ხალხს, არ უღალატო ტრადიციებს, ილიას გზას, ნიკო ნიკოლაძის გზას, ვაჟა-ფშაველას გზას...

არ დაგავიწყდეთ კოლეგებო, რომ „პირველითგან იყო სიტყვა!“

პატივისცემით

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია

ცირა ჯავახიშვილი:

„ქართული მარშის“ წევრები იცავდნენ თავიანთ სარწმუნოებას!

„ქართული მარშის“ წევრები იცავდნენ თავიანთ სარწმუნოებას და რელიგიას, ამის უფლება მათ ჰქონდათ. ჩვენ არ მიგვაჩნია, რომ ეს აგრესიული ფორმა იყო“, — განაცხადა ჟურნალისტებთან „ქართული მარშის“ წევრების ადვოკატმა ცირა ჯავახიშვილმა. ის „რუსთავი 2“-ს სისხლის სამართლის კოდექსის დარღვევაში ადანაშაულებს და საგამოძიებო უწყებას რეაგირებისკენ მოუწოდებს.

„ჩვენ ვითხოვთ შს სამინისტროსა და პროკურატურის რეაგირებას, რათა მათ დაიწყონ გამოძიება სისხლის სამართლის 182-ე და 182“ მუხლების საფუძველზე. “რუსთავი 2“-ის მხრიდან ადგილი ჰქონდა რელიგიური რწმენის შეურაცხყოფას და მხოლოდ ბოდიშის მოხდით არ უნდა დასრულდეს. სასჯელი შეიძლება გამოიხატოს იურდიული პირის ლიკვიდაციაშიც კი. ასეთ უპასუხისმგებლო ქმედებებს ადგილი ხშირად აქვს, როგორც „რუსთავი 2“-ის, ასევე არასამთავრობო ორგანიზაციების მხრიდანაც“, — აცხადებს ჯავახიშვილი. ცნობისთვის, „რუსთავი 2“-თან მომხდარი დაპირისპირების შედეგად, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით სულ 6 პირი დააკავეს, აქედან მიხეილ ამისულაშვილი ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო ხელწერილით არის გათავისუფლებული, ლადო სადღობელაშვილი და ირაკლი დოლენჯაშვილი საავადმყოფოში გადიან მკურნალობას.

რა სანქციები დაეკისრებათ „ოთხოზორია- ტატუნაშვილის“ სიაში მყოფებს

„ოთხოზორია-ტატუნაშვილის სიაში“ მყოფებზე შეიძლება დაწესდეს სავიზო შეზღუდვები, სხვადასხვა ტიპის სანქციები, რაზეც საერთაშორისო პარტნიორებთან უნდა ვიმუშავოთ, –აცხადებს ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარე თამარ ხულორდავა. მისი თქმით, სიის შედგენაზე მთავრობაა პასუხისმგებელი და შესაბამისად, მთავრობა განსაზღვრავს შესაბამის უწყებას, რომელიც ამ სიაზე იმუშავებს, ეს შეიძლება იყოს პროკურატურა, რადგან საუბარია ბრალდებულ და მსჯავრდებულ პირებზე.

„გირგვლიანის შესწორებები“ მნიშვნელოვანია იმისთვის, რომ მომავალში მსგავსი ტრაგედიები არ განმეორდეს

„ამ შესწორებას მე უკვე მივესალმე და კვლავ მივესალმები. ჩვენ აქტიური დისკუსია გვაქვს უმრავლესობის შიგნით და მთავრობაში, რათა ის ნორმები, რომელიც არის შემოთავაზებული, იყოს მაქსიმალურად იმგვარად ჩამოყალიბებული, რომ პრაქტიკაში კარგად იმუშაოს. ეს არ უნდა იყოს მხოლოდ ძალიან დიდი სიმბოლიზმით დატვირთული ნორმები, რათა მომავალში არ განმეორდეს, რაც გვქონდა წარსულში, სამწუხაროდ, დიდი ტრაგედიის სახით“, – განაცხადა თეა წულუკიანმა.

ე.წ. გირგვლიანის შესწორებებთან დაკავშირებით საკანონდებლო ცვლილებების ინიცირება მიმდინარე სასესიო კვირაში მოხდება.

ირმა სოხაძე ივანიშვილს დაპირების შესრულებას სთხოვს, ქვეყანას დღეს ძალიან უჭირს, ამაზე მეტი ღმერთმა ნუ გაგვიჭირვოს!

მომღერალი ირმა სოხაძის განცხადებით, მას ძალიან უნდა რომ ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა ბიძინა ივანიშვილმა საპრეზიდენტო არჩევნებზე კენჭი იყაროს.

სოხაძე ამბობს, რომ „მისი მოსვლით ჩრდილოვან მმართველობაზე საუბარი დასრულდება. გარდა ამისა, მომღერალი ამბობს, რომ ივანიშვილს დანაპირები აქვს შესასრულებელი.

„ბატონი ბიძინა ჩვენ დაგვპირდა, ცოტა ხანი განზე გავდგები და თუ დავინახე, რომ ქვეყანას გაუჭირდა, ისევ მოვალო. ხომ იყო ასე? ჰოდა, ქვეყანას დღეს ძალიან უჭირს. ამაზე მეტი ღმერმთა ნუ გაუჭირვოს და ძალიან სჭირდება ჩვენს სამშობლოს გადაწყვეტილების მიმღები პასუხისმგებლობის მიმღები ადამიანი, რომელიც ქვეყნისთვის რაღაც გეზის მიმცემი იქნება. უნდა შეასრულოს ეს პირობა – ძალიან უჭირს ქვეყანას ბატონო ბიძინა. ძალიან საჭიროა ახლა ოფიციალურად ამ სარბიელზე გამოსვლა. ოფიციალური ვახსენე და ეს არის ჩემი თხოვნის კიდევ მეორე მხარე– მისი მოსვლით დამთავრდება ყველანაირი საუბარი იმ ჩრდილოვანი მმართვის შესახებ და რაც არ უნდა მოხდეს საქართველოში – აშენდება თუ დაინგრევა – ყველაფერი რომ არიქა ბიძინა ივანიშვილის მოფიქრებული ჩაწყობილი და გაკეთებულიაო, ეს საუბრებიც დამთავრდება, – აცხადებს ირმა სოხაძე.

თბილისის სატრანსპორტო კომპანია „სითი პარკის“ ფუნქციებს კარგად შეასრულებს

თბილისის მერის განცხადებით, იმისთვის, რომ თბილისის სატრანსპორტო კომპანიამ „სითი პარკის“ ფუნქციები შეასრულოს, ყველანაირი რესურსი არსებობს. კალაძის თქმით, „სითი პარკში“ მომუშავე კვალიფიციურ კადრებს თბილისის მერია გამოიყენებს.

„ჩვენ ყველანაირი რესურსი გვაქვს ადამიანების და ტექნიკის თვალსაზრისით და პრობლემა არ არსებობს, თუმცა, რა თქმა უნდა, იქ მომუშავე ადამიანების ბედიც მაღელვებს, როგორც დედაქალაქის მერს. შესაბამისად, ყველაფერს გავაკეთებთ იმისთვის, რომ ის ინსპექტორები, ვინც ამდენი წლის განმავლობაში მუშაობდნენ, მათი გამოცდილება და კვალიფიკაცია იქნას გამოყენებული და აუცილებლად მივხედავთ ამ ადამიანებს“, – განაცხადა კახა კალაძემ.

<u>დიმიტრი ქუმსიშვილი:</u> „ქართული მინერალური მასალების“ ახალი საწარმო მოამარაგებს ისეთ ბრენდებს, როგორიცაა „კაპაროლი“, „კნაუფი“ და „ჰენკელი“

პირველმა ვიცე-პრემიერმა, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა შპს **„ქართული მინერალური მასალების“ ქვიშისა და კირქვის გადამამუშავებელი საწარმო გახსნა.**

საწარმო პირველ ეტაპზე 60, ხოლო უახლოეს პერიოდში 400-ზე მეტ ადამიანს დაასაქმებს. კომპანიამ „ქართული მინერალური მასალები“ საწარმოში 7 მილიონ ლარზე მეტი ინვესტიცია განახორციელა.

პირველი ვიცე-პრემიერის განცხადებით, კომპანიას სამომავლოდ დაგეგმილი აქვს ნედლეულის მომპოვებელი და გადამამუშავებელი საწარმოების დიდი გაერთიანების შექმნა, რაც, რა თქმა უნდა, მისასალმებელია.

„ამ საწარმოს გახსნა და მისი წარმატებით ფუნქციონირება კიდევ ერთხელ გვაჩვენებს, რამდენად მდიდარია საქართველო სასარგებლო წიაღისეულით, მათ შორის ისეთი რესურსებით, როგორც არის კვარციანი ქვიშები, კირქვა და სხვა სამშენებლო მასალები. აღსანიშნავია, რომ ამ ტიპის რესურსებზე მოთხოვნა უკანასკნელ წლებში მნიშვნელოვნად გაზრდილია. შესაბამისად, ჩვენ დავიწყეთ წიაღის მართვის რეფორმა, რომლის ფარგლებში ვგეგმავთ, განვავითაროთ მიმზიდველი საინვესტიციო გარემო, რაც ხელს შეუწყობს ადგილობრივი ნედლეულის მოპოვება/გადამუშავებას საქართველოს ტერიტორიაზე და პოზიტიურად აისახება ქვეყნის ეკონომიკურ მაჩვენებლებზე“, – განაცხადა დიმიტრი ქუმსიშვილმა.

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის თქმით, ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ნედლეულის მოპოვება მოხდება ზემო იმერეთსა და რაჭაში, რაც კიდევ უფრო გაზრდის რეგიონის ეკონომიკურ აქტივობას. გადამუშავებული ნედლეულით „ქართული მინერალური მასალები“ მოამარაგებს ისეთ ბრენდებს, როგორიცაა „კაპაროლი“, „კნაუფი“, „ჰენკელი“ და ა.შ. შესაბამისად, ასეთი კომპანიები უკვე საქართველოში ნაწარმოები ხარისხიანი მასალის გამოყენებით შექმნიან საბოლოო პროდუქტებს წებო-ცემენტების, ბათქაშებისა და სხვა მშრალი სამშენებლო ნარევების სახით.

კომპანია პირველივე ეტაპზე შეძლებს წლიურად 50 000 ტონა ნედლეულის წარმოებას და ეს ციფრი შემდგომში გასამმაგდება. **შეგახსენებთ, რომ 2018 თებერვლის თვიდან გაუქმდა ფასიანი მომსახურება გეოლოგიურ ინფორმაციის მიღებაზე. შესაბამისად, დაინტერესებულ პირებს ყოველგვარი საფასურის გადახდის გარეშე შეუძლიათ, მიიღონ მათთვის საინტერესო ინფორმაცია საქართველოში არსებულ სასარგებლო წიაღისეულის შესახებ.**

გამიზნულ პროვოკაციას სწორედ ასეთი ვითარება უნდა მოჰყოლოდა

მმართველი პარტიის ერთ-ერთი ლიდერი და პარლამენტის ვიცე-სპიკერი გია ვოლსკი, „რუსთავი 2“-ს პროვოკაციაში ადანაშაულებს. მისი თქმით სწორედ მიზანმიმართულმა განცხადებებმა მოახდინა იმის პროვოცირება, რაც „რუსთავი 2“-ის ჟურნალისტების მიმართ „ქართული მარშის“ წევრებმა ჩაიდინეს.

„უზნეო განცხადებები გაკეთდა სწორედ მიზანმიმართულად იმისათვის, რომ გამოხმაურება ყოფილიყო ასეთი, ამდაგვარი აგრესიული და მე ვფიქრობ, რომ ხშირად საზოგადოებამ ზუსტად უნდა დაუსვას დიაგნოზი და ადეკვატური გამოხმაურება უნდა გააკეთოს ასეთი სახის გამოხდომებზე, რაც „რუსთავი 2“-ის ერთ-ერთმა ჟურნალისტმა დაუშვა, შეურაცხყო რა ჩვენი ყველას რელიგიური გრძნობები. მკრეხელობაზე აქ არ არის საუბარი. მე ვფიქრობ, აქ საუბარია გამიზნულ პროვოკაციაზე, რომელსაც უნდა მოჰყოლოდა სწორედ ასეთი ვითარება,“ – განაცხადა გია ვოლსკიმ და აღნიშნა, რომ სწორედ ასეთი უზნეობა აძლევს გარკვეულ სტიმულს აგრესიულ ქმედებას , რომელიც კანონსაწინააღმდეგოა.

„ჩვენ“ ვიცით, სად ცხოვრობ, „ჩვენ“ გვახსოვს, რაც ჩაიდინე“

ეროვნულ სოციალისტური მოძრაობა „საქართველოს ეროვნული ერთობა“ ჟურნალისტ გიორგი გაბუნიას ემუქრება. მუქარის ტექსტი მოძრაობის „ფეისბუქ“-გვერდის საშუალებით ვრცელდება:

„და როდესაც განაგრძობ ცხოვრებით ტკბობას და იფიქრებ, რომ ყველაფერმა ჩაიარა, გახსოვდეს – „ჩვენ“ ვიცით, სად ცხოვრობ, „ჩვენ“ გვახსოვს, რაც ჩაიდინე“.

მე მძინარე ვარ... ვწევარ და მძინავს,
დაე, მძინავდეს.
ხედავ ჩემს შუბლზე ღიმილს დამცინავს,
როდესაც ნანა მესმის ძიძების –
ბევრს ეშინოდეს
ჩვენი სასტიკი და ულმობელი გამოღვიძების!!!“, – ნათქვამია მუქარის ტექსტში.

„ობიექტივის“ გადამღები ჯგუფი ძალადობის მსხვერპლი გახდა!

შსს-მ ტელეკომპანია „ობიექტივის“ გადამღებ ჯგუფსა და ერთ-ერთი სასტუმროს მფლობელებს შორის მომხდარი დაპირისპირების ფაქტზე გამოძიება დაიწყო:

„შინაგან საქმეთა სამინისტროს გადაუდებელი დახმარების ოპერატიული მართვის ცენტრ „112“-ში 14:10 საათზე შემოვიდა შეტყობინება, რომ თბილისში, ცუცქირიძის ქუჩაზე ადგილი ჰქონდა მოქალაქეებს შორის სიტყვიერ და ფიზიკურ დაპირისპირებას.

შსს-ს ინფორმაციით, შეტყობინების მიღებისთანავე, სამართალდამცველები შემთხვევის ადგილზე ოპერატიულად გამოცხადდნენ, რომლებმაც საგამოძიებო მოქმედებები დაუყოვნებლივ დაიწყეს.

პირველადი ინფორმაციით, ტელეკომპანია „ობიექტივის“ ჟურნალისტი, 1994 წელს დაბადებული ნ.ლ. და ოპერატორი, 1993 წელს დაბადებული დ.მ. დაგეგმილი სიუჟეტისთვის ვიდეომასალას აგროვებდნენ, რისთვისაც ცუცქირიძის ქუჩაზე მიმდინარე მშენებლობის გადაღებას ახორციელებდნენ. გადამღებ ჯგუფს იმავე ქუჩაზე მდებარე ერთ-ერთ სასტუმროს მფლობელებთან, 1960 წელს დაბადებულ გ.ე.-სთან და 1996 წელს დაბადებული ე.ე.-სთან სიტყვიერი კონფლიქტი მოუხდათ, რაც ფიზიკურ დაპირისპირებაში გადაიზარდა.

„ძუკნების მან“

1946 წელს საბჭოთა გულაგში დაიწყო ე.წ. „Сучья война“ (ძუკნების ომი), რომელშიც ერთმანეთს „გამოსწორების გზაზე „შემდგარი“ – კრიმინალები „სუკები“ (ძუკნები) და ტრადიციული პრინციპების მატარებელი „კანონიერი ქურდები“ დაუპირისპირდნენ.

ხელისუფლების „სიმპათია“ უფრო ე.წ. „სუკების“ მხარეს იყო, რასაც ცხადია, საკმაოდ კარგად გათვლილი, პრაგმატული მიზანი ჰქონდა. არ დავიწყებ იმაზე საუბარს, თუ რამდენი სისხლი დაიღვარა ამ დაპირისპირებაში.

დღეს საქართველოში არსებული სიტუაცია, ძალიან ჰგავს „Сучья война“-ს. ომს, რომელშიც ე.წ. „ახალი მსოფლმხედველობის“ მატარებელი და „ახალი ადამიანის შექმნის“ მსურველი ე.წ. „არასამთავრობო ორგანიზაციები“, არანორმალური აზროვნების ე.წ. „ჟურნალისტები“და მსგავსი „იდეალებით განმსჭვალული ხალხის „მედია-საშუალებები“ შემოესივნენ ნამდვილი, ნორმალური აზროვნების და ღირსეული მომავლის მსურველ ხალხს.

ცნობისთვის მინდა, განვმარტო, რომ მიუხედავად ყველაფრისა, საბოლოო გამარჯვება ტრადიციების მატარებლებს დარჩათ.

პირველ რიგში, ვთხოვ იმ ხალხს, რომლებიც ზუსტად ვიცი, პედერასტებს ვერ იტანენ, ზუსტად ვიცი, რომ მესამე სადღეგრძელოზე 2-ლიტრიან ყანწს ისე გადაყლურწავენ, თვალსაც არ დაახამხამებენ და საკმაოდ შიშხათიან სიტყვებსაც იყენებენ, არ დამიწყონ „პრადვინუტობანას“, „დემოკრატობანას“, „ევროპულობანას“ და „ტოლერანტულობანას“ თამაში. ასე რომ, თავი შეიკავეთ.

მიუკიბ-მოუკიბავად, პირდაპირ ვიტყვი, რომ მიმდინარეობს ფორსირებული შეტევა ქართული სახელმწიფოებრიობის და მომავლის წინააღმდეგ!

არ გავხდები „რ-2“ და არ დავიწყებ „გუდრონით“ შეღებილი სათვალეებიდან არსებული ვითარების შეფასებას, მაგრამ შეუძლებელია, არ დავარქვა ყველაფერს თავისი სახელი და არ ვთქვა ის, რომ შეტევა ერთდროულად ყველა მიმართულებით ხორციელდება.

უმთავრესი დარტყმა, რომელიც ქართული სახელმწიფოებრიობის და ქართული ცნობიერების წინააღმდეგ ხორციელდება, არის დარტყმა ჩვენი გენეტიკური ღირებულებების წინააღმდეგ.

ის რომ, ქართველების დიდი ნაწილი ეკლესიურად არ ვცხოვრობთ, არახალია, მაგრამ ის კოდი, რომელიც ყველა ჩვენგანში დევს, ძალიან სათუთია.

ძალიან სათუთია იდენტობის, ოჯახური ცხოვრების, ტერიტორიული მთლიანობის, კულტურის, არსებული ფასეულობების შეგრძნებაც.

თუ აქამდე დარტყმები თითოეული მიმართულებით ცალ-ცალკე ხორციელდებოდა, „სუკები“ „როგორც იქნა“ მიხვდნენ, რომ შეტევის მხოლოდ ერთი მიმართულებით წარმართვა სისულელეა. მიხვდნენ იმას, რომ ე.წ. „წერტილოვანი დარტყმები“, რაც ცალ-ცალკე მხოლოდ ეკლესიაზე, იდენტობაზე, ჩვენს წარსულზე (იმ წარსულზე, რომელიც მომავლის შემქმნელი დღევანდელობის საფუძველია), ხორციელდებოდა და შედეგი, ფაქტობრივად, არ ჰქონდა, გაერთიანეს და დღეს ყველაფერს ერთად ესვრიან. ბომბავენ საკმაოდ გააზრებულად და ამისთვის კონკრეტულ „საზარბაზნე ხორცს“ იყენებენ.

მკაფიოდ განსაზღვრული ჰყავთ ის სპიკერები, რომლებიც ამა თუ იმ მიმართულებით მუშაობენ და მათს ხელში არსებული საკმაოდ „წარმატებით“ მოქმედი საინფორმაციო არტილერიით, ერთდროულად (ვიმეორებ: ერთდროულად!) ბომბავენ ნებისმიერ სფეროს.

ეს საკმაოდ შედეგიანი სტრატეგიაა, რადგანაც ხდება დამცველთა ძალების დაქსაქსვა მაშინ, როცა ამ უკანასკნელთ ფეისბუქის გარდა, ინფორმაციის გავრცელების და პასუხის გაცემის არანაირი სხვა საშუალება არ გააჩნიათ (არის ზოგიერთი ძალიან მწირი რამ, მაგრამ, ფაქტობრივად, ეს ანგარიშში ჩასაგდები არ არის).

ერთდროულად ჩნდებიან ტრანსგენდერები თავიანთი უზნეო მოთხოვნებით, უცებ გამოხტებიან ლევანსხაბეიშვილები ცუდად შეფუთული ცინიკური სახეებით, გიგიუგულავები გუთნით და ფაროსანას წინააღმდეგ დანა-ჩანგლით შეიარაღებული დავითბაქრაძეები. ჩნდება სიუჟეტები გაუსაძლის მდგომარეობაში მყოფი ადამიანების შესახებ. ძალადობა, ძალადობა და კიდევ ძალადობა ყველგან. ძალადობა სკოლაში, ქუჩაში, ოჯახებში. ძალადობა ყველგან და უმთავრესი ლაიტმოტივი – რუსული პროპაგანდა!

ორშაბათს „რუსთავი-2“-თან შეიკრიბნენ“ ქართული მარშის წარმომადგენლები, რომლებიც გაბუნიასგან ბოდიშის მოხდას მოითხოვდნენ. ცხადია, მათ ქმედებას „რ-2“-ელების მხრიდან გარკვეული პროვოკაციები მოჰყვა. მოკლედ რომ ვთქვა, შეხლა-შემოხლაში პოლიციის ჩარევა გახდა საჭირო.

იმედს ვიტოვებ, რომ ყველაფერი გაირკვევა და ყველაფერს ზუსტი შეფასება მიეცემა, მაგრამ მთავარია საზოგადოების რეაქცია. ის რეაქცია, რომელიც ხმიანდება და რასაც აუცილებლად უნდა მიექცეს ყურადღება.

გადამლაშებაა იმაზე საუბარი, რომ ქვეყანაში ყველაფერი კარგადაა. სისულელეა იმაზე აპელირება, რომ რაღაც რეიტინგებში წინ გადავინაცვლეთ, მაგრამ ყველაზე დიდი ზიანი, რაც ამ ომში ქვეყანას ადგება, არის უიმედობის, ბნელი მომავლისა და გამოუვალ მდგომარეობაში ყოფნის რეკლამირება.

გადამლაშებაა იმაზე საუბარი, რომ ქვეყანაში ყველაფერი კარგადაა. სისულელეა იმაზე აპელირება, რომ რაღაც რეიტინგებში წინ გადავინაცვლეთ, მაგრამ ყველაზე დიდი ზიანი, რაც ამ ომში ქვეყანას ადგება, არის უიმედობის, ბნელი მომავლისა და გამოუვალ მდგომარეობაში ყოფნის რეკლამირება.

თამამად ვიტყვი, რომ ამ გამართული და საკმაოდ ძლიერი მანქანის წინააღმდეგ, სამწუხაროდ, მხოლოდ პარტიზანული ბრძოლა მიმდინარეობს, რაც არც ისე დიდი შედეგის მომტანია.

ხელისუფლებამ უნდა იფიქროს ამაზე. უნდა გაიხსენოს ბროწ ტიტოს ჰაიდამაკები, კოვპაკის პარტიზანული რაზმი, რომლებიც მხოლოდ სახელად იყვნენ პარტიზანულები, სინამდვილეში კი სერიოზულ შეიარაღებულ სამხედრო შენაერთებს წარმოადგენდნენ.

ომი ოფიციალურად უკვე გამოცხადდა.

გასულ კვირას ე.წ. „ჟურნალისტმა“ და თვითმარქვია„მთავარი არხის“ სახე გიორგი გაბუნიამ თავის გადაცემაში უსაზიზღრესი ფრაზა წარმოთქვა, რომლითაც შეურაცხყო უამრავი ქრისტიანი ადამიანის გრძნობები, შეეხო იმ საკრალურს და წმინდას, რაც ყველა ნორმალურ ადამიანს აქვს.

დარწმუნებული ვარ, მრავალ არაქრისტიანზეც იმოქმედებდა მისი ეს ფრაზა და შესაბამისი რეაქციაც ექნებოდათ.

„რ-2“-სთან განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით, ფეისბუქზე ძალიან უცნაური და საოცარი შეფასებები გახმიანდა. შეფასებები, რომლებიც კიცხავდნენ ჯულიეტოვნას იმ ამაზრზენ „ხუმრობას“, მაგრამ „ყოველი შემთხვევისთვის“ გმობდნენ ღმერთის სახელით ძალადობას. წინადადება ორ ნაწილად სპეციალურად გავყავი და სიტყვები „გაკიცხვა“ და „დაგმობა“ იმის გამო კი არ შევარჩიე, რომ ტაფტალოგია არ გამოსულიყო, მათ შეფასებები სწორედ ასე ჟღერდა: „რ-2“-ს „კიცხავდნენ“, ხოლო აქციას „გმობდნენ“.

სიტყვა „გაკიცხვა“, გაცილებით უფრო რბილი ფორმაა, ვიდრე „დაგმობა“. ჩემი მხრივ, პირდაპირ ვიტყვი, რომ სხვადასხვა მიზეზის გამო დღევანდელი აქცია არ მიმაჩნია სწორ გადაწყვეტილებად, მაგრამ მინდა, ყურადღება გავამახვილო ფრაზაზე, რომელსაც ხშირად იყენებდნენ: – ღვთის სახელით ძალადობა!

უკაცრავად, მაგრამ რას ნიშნავს „ღვთის სახელით ძალადობა“? სადმე გაიგონეთ ჯვაროსნების მოწოდება Deus vult! („ასე სურს ღმერთს!“)? სადმე გაიგონეთ ფრაზა Allahu Akbar? (ალაჰი დიდია).

ასევე საოცარია შეფასება: **და მეორე დღეს ყველას დაავიწდა ძალადობის მსხვერპლი ქალები, დღეს გაბუნიას დაათრევს კედელ-კედელ რელიგიურ გრძნობებშელახული პუტინისტური გრუზია – და იდგა 2018 წელი და ისევ იქ ვართ, სადაც გამოხატვის და სიტყვის თავისუფლებისთვის გქოლავენ!!! ველურეთი!** და ფრაზა: **არავინ იცის, რელიგიური გრძნობები რა არის. განმიმარტეთ, დამისაბუთეთ, ბატონო, რელიგიური გრძნობები სად გადის, რომელ ნერვზე?**

საოცარია „გამოხატვის და სიტყვის თავისუფლების რელსებზე“ გადაყვანის მცდელობა და იქვე იმის აღნიშვნა, რომ „როგორც ჟურნალისტური ნამუშევარი, ძალიან ცუდი იყო“.

ასევე საოცარია გაბუნიას ბოღმიან, კომპლექსიან ცინიზმში (დიახ, სწორედაც, რომ „ბოღმიან და კომპლექსიან ცინიზმში“ და არა „ხუმრობაში“) პუტინის ხსენება.

მინდა, ვიკითხო: ნუთუ 1999 წლის 31 დეკემბრამდე (ელცინის გადადგომის და პუტინის მოსვლის თარიღი), საქართველოში რელიგიური გრძნობები არ არსებობდა?

რაც შეეხება შეკითხვას, თუ რომელ ნერვზე გადის „რელიგიური გრძნობები“, უბრალოდ განვმარტავ, რომ **ეგ გრძნობა ძალიან ღრმად ჩამალულ „ნერვზე გადის“. იქვეა სხვა „ნერვებიც“ – მშობელი, შვილი, მეგობარი, შეყვარებული, სამშობლო, უბრალოდ ადამიანი, ცხოველი, ბუნება დ.ა.შ. აი, მაგათთან ერთადაა „ის ნერვი“. ზოგს ამ „ნერვებიდან“, რომელიღაც აკლია. ზოგს ბევრი, ზოგს ერთი და ზოგი კი საერთოდ ცარიელია, ყოველგვარი ნერვის გარეშე.**

კი ბატონო, გასაგებია, რომ ჯულიეტოვნა ბოღმიანი და კომპლექსებით სავსე ნაძირალაა, რომელიც თავის შინაგან ვნებებს ასეთი ფორმით იკმაყოფილებს და დამატებით პოპულარობას და საკმაოდ მსუყე ანაზღაურებას ღებულობს.

ამის შემხედვარე დანარჩენი „ჯულიეტოვნები“, რომლებიც მზად არიან, ყველაფერზე წავიდნენ, ოღონდ ოდესმე მისი მსგავსი პოპულარობა და მატერიალური ანაზღაურება მოიპოვონ, ბაძავენ და ათასგვარ სისულელეს სჩადიან, რაც გარკვეული მიზეზების გამო, არ რეალიზდება (ახლა ამ მიზეზებს არ ჩამოვთვლი. ერთს ვიტყვი, რომ ჯულიეტოვნას უკვე დაკავებული აქვს ბოღმიან-კომპლექსიანის ნიშა და იქ მეტი ადგილი აღარ არის).

რეალურად კი რა უნდა გააკეთოს საზოგადოებამ, რომ მსგავსი ვირუსები აღარ ანაგვიანებდეს ჩვენს სივრცეს?

იმის თქმა, თუ არ მოგწონს – გადართე, – წმინდა წყლის დემაგოგიაა!

არადა გამოსავალი ძალიან მარტივია.

ჩატარდეს იმ ორგანიზაციების მცირე მონიტორინგი, რომლებსაც რეკლამა მიაქვთ ჯულიეტოვნების გადაცემებში და გამოცხადდეს მათი პროდუქციის ბოიკოტი.

ინფორმაცია ბოიკოტის შესახებ გავრცელდეს ყველა ხელმისაწვდომი საშუალებით.

ყოვლად ამაზრზენია ამ „ყველაფერჩიკი“ არასამთავრობოებისა და ე.წ. „სახალხო დამცველის“ პოზიცია. გვარამიას მსგავსად ისინიც საკმაოდ სერიოზულად დაემუქრნენ ხელისუფლებას და თავიანთი „ვერდიქტიც“ გამოიტანეს.

ე.წ. „სახალხო დამცველის“ „პოზიცია“ კი ახალგაღვიძებული ადამიანის მსგავსად ძალად ნათქვამი ფრაზებით შემოიფარგლა, რაშიც „რ-2“-ის მიმართ აშკარა მიკერძოება ისმოდა.

ის რომ, ქართული „არასამთავრობო სექტორი“ ყოვლად ჩამპალ სისტემად გადაიქცა, არ ახალია. არც ამ რამდენიმე დღის წინათ, ერთ-ერთი „სექტორელის“ თავს გადამხდარი ამბავი არის საოცრება და სკანდალური. სიმართლეს თუ ვიტყვით საქართველოს მოსახლეობის 99%-ს საერთოდ ცალ ფეხზე ჰკიდია მათი არსებობა, სახელები, „საქმიანობა“ და ისიც, თუ რას „ეჩათვებოდა“ სახალხო დამცველის მიერ საზმაუს ბორდში წარდგენილი კანდიდატი ვიღაც ქალებს. მაქსიმუმ თქვან, ხომ ვამბობდი, იქ ქალიან-კაციანად ყველა ჩათლახიაო და გაიცინონ.

◎ ახალი ფოლკლორი

ძაღლიკა ჭინჭარაულისგან ჩონგურზე დასამღერი ვანოს ზოუში

ჰერი, ნიკა, ჰერიო,
რუსთავორზე ვმღერიო.
ნეტავ რატომ გეჰატია
ახალი და ძველიო?!.

* * *

რაც შეჭამა გვარამიამ,
ყველაფერი არამია.

* * *

ნამეტანი გაუვიდა
ფულის ჭია ნიკასო,
ერთხელ კარებს აუჭედავს
თვითონ უფლის ინკასო.

* * *

ნიკამ იცის გაქირი,
ყროყინი სახედრული,
უფლის მგმობელს აკმარა
ერთი ცრუ საყვედური.

* * *

ბირახეულ ტელებიჭს
ეშმას ქუდი ახურია,
ჯოჯოხეთის მოციქულად
მონათლულა გაბუნია...
ჭარტალა და ენაგრძელი
ლაჩარი და ძაბუნია.

* * *

ჰერი, ნიკა, ჰერიო
რუსთავორზე ვმღერიო,
სანამდისინ უნდა იყვე
შენი ქვეყნის მტერიო?!.

* * *

არ ჩერდება ნიკაო,
ისევ აიტლინკაო...

* * *

სულ ტყუილად ჯახირობთ,
იბინძურებთ ყიასა,
უფლისა გეშინოდეთ
შენ და გაბუნიასა!..

კიდევ ერთხელ გავიმეორებ, რომ ხალხს ფეხებზე ჰკიდია ეს „სექტორი“, რომელიც „დინამოს“ სტადიონის ჩრდილოეთ სექტორის, ყველაზე ზედა რიგებს ჰგავს (ყველაზე ცუდი ადგილებია და იქ არავინ ჯდებოდა), ამიტომ რაც მალე გამომჟღავნდება მსგავსი „გადაცდომები (მათი ფრაზეოლოგიით რომ ვთქვა – მეტი გამჭვირვალობა იქნება, იმ ორიოდ ადამიანისთვის, ვინც რეალურ საქმეს აკეთებს), უკეთესი იქნება.

არ გამოვა, ბატონებო, ამ ძალადობის „შეფუთვა“. არც ეგრე ადვილად „გატარდება“ გვარამიას მუქარა და შანტაჟი.

მინდა, დავამთავრო ცნობილი აქსიომის პერიფრაზით: **თუ ხელისუფლება ვერ შეძლებს მოსახლეობის დაცვას მათი გრძნობების შეურაცხყოფისგან, მათზე ძალადობისგან, მაშინ ხალხს უფლება აქვს, თავად დაიცვას თავი!**

გია გაბრიჭიძე

უპატრონოდ მიტოვებული ოცნებები



დაუჯერებელია, მაგრამ ფაქტია!

2017 წელს საქართველოს 7 მილიონზე მეტი უცხოელი ვიზიტორი ეწვია. მთავრობა ელის, რომ 2018 წელი ამ თვალსაზრისით კიდევ უფრო შთამბეჭდავი იქნება. ხელისუფლების გათვლებით, 2018 წელს უცხოელი ვიზიტორების რაოდენობა 8 მილიონს გადააჭარბებს და ბიუჯეტში დაახლოებით 3 მილიარდ დოლარზე მეტი შევა. ერთი შეხედვით შთამბეჭდავი ციფრებია, თუმცა როგორია რეალობა, ეს გასულ პარასკევს გუდაურში განვითარებულმა მოვლენებმა აჩვენა.

საბაგიროს დაზიანება და სხვა ბევრად უფრო მძიმე ინციდენტები გუდაურზე ბევრად უფრო ცნობილ კურორტებზეც მომხდარა. სხვა საქმეა როგორ რეაგირებენ ამაზე შესაბამისი სამსახურები. კიდევ ერთხელ გამოჩნდა, რომ საქართველოს გამართული სამაშველო ინფრასტრუქტურა არ გააჩნია და ექსტრემალურ სიტუაციებში სახელმწიფო ფაქტობრივად უძლურია.

აი, რას ყვება პოლონელი ტურისტი, რომელიც გუდაურში განვითარებული მოვლენების უშუალო თვითმხილველია: **შოკირებული ვარ აქაური სამაშველო სამსახურის ხარისხით. სიტყვები არ მყოფნის, რამდენად ცუდი იყო ეს ყველაფერი. ერთ-ერთ მაშველს ვკითხე, რატომ არ იყენებენ ვერტმფრენს. ინგლისურად ცუდად ლაპარაკობდა, მაგრამ მითხრა, რომ საკომუნიკაციო სისტემა არ მუშაობდა და ვერ რეკავდნენ. თუმცა ახლახან ვიხილეთ სამთავრობო ვერტმფრენი, რომლითაც ეკონომიკის მინისტრი ჩამოვიდა. სხვა ორი ვერტმფრენი ინციდენტიდან დაახლოებით 2 საათის შემდეგ ჩამოიყვანეს. ყველაზე მძიმედ დაშავებული გოგოს საკაცეზე მოსათავსებლად 15 წუთი დასჭირდათ. ადგილზე მისულ მაშველებს სამედიცინო დახმარების ცოდნა არ ჰქონდათ, ან პრაქტიკაში ვერ გამოიყენეს.“**

კიდევ ერთი ტურისტი ყვება, რომ დაზიანებულ საბაგიროზე 8 მეტრის სიმაღლეზე დაახლოებით ორსაათნახევარი ელოდებოდა დახმარებას. ალბათ, ბევრმა ნახა კადრები, როგორ ცდილობდნენ მაშველები სამაშველო ოპერაციებისათვის გამოუსადეგარ ვერტმფრენში ერთ-ერთი დაშავებულის განთავსებას.

მეექვსე წელია, „ქართული ოცნება“ ხელისუფლებაშია და დაპირებების რეჟიმს ვერ გასცდა. გავაკეთებთ, კეთდება, შენდება, აშენდება, იწყება და ასე შემდეგ... თუ რამე გაკეთდა, ისიც ძირითადად უხარისხოდ: რემონტიდან ორ თვეში ჩამონგრეული ჭერი მეტრო ვარკეთილში, გახსნიდან ერთ კვირაში თითქმის თავიდან გასაკეთებელი დიღმისა და ავჭალის დამაკავშირებელი ხიდი, საგზაო დეპარტამენტის გაუმჭვირვალე ტენდერები, ამ ტენდერებში გამარჯვებულ კომპანიებში დასაქმებული ყოფილი მაღალჩინოსნები, ეჭვები კორუფციულ გარიგებებზე. მსოფლიო ბანკის მიერ არაკეთილსინდიერ გარიგებებსა და თაღლითობაში მხილებული ჩინური კომპანია „სინოჰიდრო,“ რომელსაც ქართულმა მხარემ 253 მილიონი ლარი და სამტრედია-გრიგოლეთის შემოვლითი გზის ერთ-ერთი საპასუხისმგებლო მონაკვეთის მშენებლობა ანდო. ეს მცირე ჩამონათვალია იმ „აღმშენებლობისა“, რასაც „ქართული ოცნების“ პირობებში აქვს ადგილი.

„ბაკურიანი უნდა ჩამოყალიბდეს რეგიონულ საკონფერენციო ცენტრად, როგორიც ეს არის დავოსი შვეიცარიაში. ბაკურიანს ამის რესურსი გააჩნია“, — ეს სიტყვები საქართველოს პრემიერმა 2016 წლის აგვისტოში წარმოთქვა. ამ სიტყვებიდან დაახლოებით 2 წლისთავზე პრემიერის მორიგ დაპირებას ვისმენთ: „ბაკურიანი საერთაშორისო სტანდარტების შესაბამის, ოთხი სეზონის სამთო კურორტად უნდა გადაიქცეს“, — აცხადებს კვირიკაშვილი. როგორია რეალობა? წელს, ზამთრის სეზონის დაწყებიდან მალევე რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრმა ზურაბ ალავიძემ განაცხადა, რომ ტურისტების უპრეცედენტო რაოდენობას ბაკურიანი მოუმზადებელი დახვდა.

გაირკვა, რომ არ არის ნორმალური გზები, ტროტუარები, პარკინგის ადგილები, დასასვენებელი პარკები, წყალმომარაგება და ,ზოგადად, ბაკურიანში ინფრასტრუქტურა გაუმართავია.

დიდი ალბათობით მომავალ წელს მთავრობა ისევ გეგმებზე ისაუბრებს. თითქმის ანალოგიური ვითარებაა, ფაქტობრივად, ყველგან, მაგალითად, სიღნაღში. დანგრეული აივნები, საღებავისგან გაქერცლილი კედლები, დაზიანებული ფასადები — ასეთია დღევანდელი სიღნაღის რეალობა. სიყვარულის ქალაქში სარეაბილიტაციო სამუშაოები 2008 წლის შემდეგ აღარ ჩატარებულა. ადგილობრივები ტურისტული ნაკადის შემცირებაზე საუბრობენ და აცხადებენ, რომ ქალაქის დაზიანებული ინფრასტრუქტურა და იერ-სახე ტურისტებისთვის მიმზიდველი აღარ არის. ისტორიული შენობების, სახელმწიფო და კერძო ობიექტების რეაბილიტაცია სიღნაღში წინა ხელისუფლების დროს დაიწყო, რისთვისაც 22 მილიონი ლარზე მეტი დაიხარჯა. სიღნაღის მოქმედი მერი გიორგი გოგილაშვილი ამბობს, რომ სარეაბილიტაციო სამუშაოებისთვის თანხაც გამოყოფილია და პროექტიც მზად არის. გეგმის თანახმად, ფასადების რეაბილიტაციაზე 100 ათასი ლარი დაიხარჯება. როდის დაიწყება ამ გეგმის რეალიზაცია, უცნობია, მერიაში მხოლოდ ზოგადი პასუხი აქვთ — მალე.

ამ ყველაფრის ფონზე ხელისუფლება თითქმის ყოველწლიურად ზრდის ბიუროკრატიულ აპარატს და მის შესანახ ხარჯებს. ბოლო მონაცემებით, საჯარო სექტორში დაახლოებით 320 ათასი ადამიანია დასაქმებული. მათი მარტო სახელფასო ანაზღაურება 1,4 მილიარდ ლარს აჭარბებს. ამას ემატება საქონლისა და მომსახურების ხარჯები, რაც დაახლოებით 1,2 მილიარდი ლარია. საერთო ჯამში ბიუროკრატიის შესანახად წელს დაახლოებით 2,6 მილიარდი ლარი დაიხარჯება. 2016 წლის მონაცემებით, სახელმწიფო ბიუროკრატიამ მარტო საწვავში 53 მილიონი ლარი დახარჯა. ორი წლის წინათ მთავრობის საკუთრებაში 4592 ავტომობილი იყო და აქედან 1488 მაღალი გამავლობის ჯიპი. ამ არცთუ შთამბეჭდავი სტატისტიკის მიუხედავად, ხელისუფლება აცხადებს, რომ ქვეყანა ვითარდება და ეკონომიკური ზრდის 4,4-პროცენტიანი მაჩვენებლით ამაყობს. აცხადებს, რომ ამ მაჩვენებლით რეგიონში ლიდერები ვართ მაშინ, როცა გასულ წელს სომხეთის ეკონომიკა 7,7 %-ით გაიზარდა. ფაქტია, რომ შეუსრულებელი დაპირებები თანდათან „ქართული ოცნების“ სავიზიტო ბარათად იქცა. მალე ქვეყანაში საპრეზიდენტო არჩევნები გაიმართება. თუ გასული ექვსი წლის გამოცდილებას გავითვალისწინებთ, დიდი ალბათობით რიგითი მოქალაქეებისთვის ოცნება ოცნებადვე დარჩება. აქვე გთავაზობთ ოფიციალურ სტატისტიკურ მონაცემებს, რაც ქვეყანაში არსებულ რეალობას ნათლად აჩვენებს.

ოფიციალური სტატისტიკით, საქართველოს მოსახლეობის თითქმის ერთი მეხუთედი, დაახლოებით 23% სიღარიბის ზღვარს მიღმა ცხოვრობს.

ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI) მიერ ჩატარებული კვლევების თანახმად, უმუშევრობა, სიღარიბე და გაზრდილი ფასები კვლავ მთავარ გამოწვევად რჩება. NDI-ის რესპონდენტთა 54% მთავარ გამოწვევად უმუშევრობას, 35% გაზრდილ ფასებს, 30% სიღარიბეს ასახელებს. გამოკითხულთა 49%-ის შემოსავლები თვეში 500 ლარს არ აღემატება.

ოფიციალური სტატისტიკით, მოსახლეობის 11%-ის შემოსავლები თვეში 181 ლარზე ნაკლებია.

„საქსტატის“ 2017 წლის მონაცემების თანახმად, საქართველოს მოსახლეობის შემოსავლების 44% საკვების შეძენაზე იხარჯება. მიუხედავად ამისა, როგორც გაეროს ფონდის საქართველოს ოფისის კვლევები აჩვენებს, საქართველოში 500 ათასზე მეტი ქალი და ბავშვი საკვების დეფიციტს განიცდის.

ბოლო მონაცემებით, 40-მდეა გაზრდილი ჯინის კოეფიციენტი, ანუ, სოციალური უთანასწორობის მაჩვენებელი. ამ თვალსაზრისით პოსტსაბჭოთა სივრცეში საქართველოს მხოლოდ რუსეთი უსწრებს. გასულ წელს მშპ-ს თითქმის 5%-იანი ზრდის მიუხედავად, მოქალაქეები, რომელთა შემოსავალი წელიწადში 40 ათას ლარს აღემატება, 45 ათასზე ოდნავ მეტია. საშუალო ფენა მოსახლეობის მხოლოდ 10%-ს შეადგენს.

კომერსანტი

◎ წერილი რუსთავიდან

როდემდე, ხალხო, როდემდე?

ორიოდე დღის წინათ ჩემი სადარბაზოელი მეზობელი, ახალგაზრდა ცოლ-ქმარი, სამი შვილის, ორი ვაჟისა და ერთი გოგოს მამა დედაბუდიანად თურქეთში გადაბარგდა ერდოღანის გულის გასახარად.

რატომაც არა, თურქეთი ქართველებით აგერ საუკუნეა, ძლიერდება, თურქებს და სპარსელებს ყოველთვის მოსწონდათ ქვეშევრდომად ქართველები, ოღონდ მაშინ ძალით მიჰყავდათ, ასე წახვეტეს ფერეიდანში ლამის ნახევარმილიონამდე ქართველი.

იმ ჩემი მეზობლების დედა წლების წინათ გადაიხვეწა თურქეთში, იქ კარგად მოეწყო. შვილებს ეხმარებოდა, ეგონა, აჰა, სადაცაა ქვეყანა მოძლიერდება, ვაჟი სამსახურს იშოვის, მუშაობას დაიწყებს, ოჯახს ფეხზე დააყენებს, მერე მეც დავბრუნდებიო. მეტი არ იყოს ჩემი მტერი...

ისე ქართველი კაცი, საკუთარი ნებით ამ ღვთივკურთხეულ, ედემ საქართველოს, ანუ სამშობლოს საკუთარი ნებით რომ დატოვებს, მამა-პაპათა საძვალეს აზერს, არაბსა და ინდოელს მიუგდებს, ის მოსაკვეთია, იმიტომაც თუ ათასი ჯურის უცხოელი აქ ფუძნდება, იფესვებს, ოჯახით მკვიდრდება, შენ რაღა დაგემართა, შე სამგლევ, შენა?

ახლახან, ერთ-ერთი რადიოთი თავს რომ ქართულობით იწონებდა, ამერიკაში გადახვეწილი ქალ-ვაჟი ჭკუას გვასწავლიდა, გვარიგებდა, არაფერი მნიშვნელობა არა აქვს ქართველი ქალი ამერიკელ ზანგს გაყვება, ესპანელს, პორტუგალიელს თუ ნიგერიელსო. ასევე, ვაჟსაც ვერავინ დაუშლის მოზამბიკელ ქალზე ქორწინებასო.

სამშობლოს ღალატი სხვა რა უნდა იყოს, ისედაც დამცრობილ ერთი მუჭა საქართველოსათვის, რომელიც გარშემორტყმულია ჩვენი ქვეყნის მიწა-წყლის დასაპყრობად.

კატასტროფული დემოგრაფიული ვითარება გვაქვს, ქართველს ერთი შვილი თუ ეყოლა, ამით სრულდება მისი ბედნიერება, ამ დროს მათი საცხოვრებლის მიმდებარე ეზო-მოედნებზე უცხოური გოგო-ბიჭების ჟრიამული ჭარბობს.

ამ დროს, ჩვენი პრეზიდენტი, მისი არჩევნები რომ ახლოვდება, პრემიერი, ვიცე-პრემიერი, მინისტრები, ხელისუფლების მაღალჩინოსნები უცხო ენების ლიკლიკით თავს იწონებენ ეკონომიკის აღმავლობით, ტურიზმის ზღაპრული ზრდით. თურმე, ჩვენ, ქართველები ვერ ვხედავთ, თორემ ქვეყანა ყვავის, ის, რომ მოსახლეობის 70 პროცენტზე მეტი სიღარიბის ზღვარზეა, თანდათან კიდევ უფრო ღატაკდება და ქვეყნიდან გარბის.

ხელისუფლებას კიდევ ერთხელ უნდა შევახსენო, რუსთავის სკოლებს ყოველწლიურად 4 ათასი მოზარდი ამთავრებს, სამუშაოზე კი თითო-ოროლა თუ მოხვდება, ასე იკარგებიან წლიდან წლამდე რუსთაველი ახალგაზრდები, საქართველოს აღმოსავლეთის კარიბჭედ წოდებული, ინდუსტრიული რუსთავი თვალსა და ხელს შუა გვეცლება.

ჩვენ კი ისღა დაგვრჩენია, ვადიდოთ „ელგებეტე“, ევროპული ღირებულებები, საოცნებო დემოკრატია.

ხალხური ანდაზაა, ძაღლი ყეფს, ქარავანი მიდისო!



როდემდე, ხალხო, როდემდე!

გივი ჯახუა,
„სრ“ საკ. კორ.
რუსთავი

შვედეთში 4,5 ათასი მიგრანტი ბავშვი დაიკარგა

ბოლო ოთხი წლის განმავლობაში შვედეთში 4,5 ათასი მიგრანტი ბავშვი დაიკარგა. აღნიშნული მას შემდეგ ხდებოდა, რაც თავშესაფრის მინიჭებაზე განაცხადის საპასუხოდ ბავშვები დეპორტაციის საფრთხის წინაშე დგებოდნენ. ინფორმაციის თანახმად, შვედეთის მთავრობამ არიცის სად იმყოფება ამჟამად 4 492 ბავშვი.

დაკარგულია როგორც ქვეყანაში დამოუკიდებლად, ასევე მშობლებთან ერთად ჩასული ბავშვები. შვედეთის მიგრაციის სააგენტოს ინფორმაციით, მხოლოდ ბოლო ორი თვის განმავლობაში ქვეყანაში 223 ბავშვი დაიკარგა, 2017 წლის ანალოგიურ პერიოდში ეს ციფრი 152 ბავშვს შეადგენდა. The Local აღნიშნავს, რომ ამჟამად შვედეთში არ არსებობს კანონი, რომელიც მსგავს ვითარებას დაარეგულირებდა.

მშიერი ქვეყნის მაძღარი ბანკები

ეკონომიკას უნდა მართავდნენ ხელისუფალნი და არა მსუნაგი ბანკირები



თუ რატომ არ უნდა მართავდნენ ქვეყნის ეკონომიკას მსუნაგი ბანკირები, ამის სახიერი მაგალითია საქართველო, რომლის ეკონომიკამ ბოლო ათწლეულების პერიოდში ვერა და ვერ მოითქვა სული. ამ ფონზე შეუძლებელია, არ გავიხსენოთ მსოფლიოში უპირველეს დემოკრატებად მონათლული ქართველი ნაცების მიერ მშობლიური ქვეყნის დასამონებლად განწირული საკუთარი ხალხის „ძლევაი საკვირველი“, რომლის წყალობითაც შეძლეს მათ, რეკორდულად მოკლე პერიოდში, სტრატეგიული პარტნიორი ევროპა-ამერიკისა და ერთმორწმუნე რუსეთის მესვეურთა „დახმარებით“, დაეკარგათ ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობა, მიწასთან გაესწორებინათ საქართველოს ეკონომიკა, დაემშიათ ხალხი და „დაეცოცხათ“ მათი უფლებრივი თავისუფლება. ამ საერთოსახალხო გაჭირვების წლებში, რაც არ უნდა უცნაურად მოგეჩვენოთ, ერთადერთი, ვინც ძაღლთაპირი ნაცების ცოცხსა და დაყაჩაღებას გადაურჩა, იყო ქვეყნის საბანკო სისტემა, რომელიც იქიდან მოყოლებული დღემდე, ზემოგებით მუშაობს.

კიდევ გავიმეორებ, ერთადერთი, რომელმაც წინა ხელისუფლების მძარცველური რეჟიმის პირობებში დიდძალი სიმდიდრე დაგროვა, ხალხის არჩევანით დემოკრატიულად გაგდებული სააკაშვილის ნაცბანდა და კომერციული ბანკებია. აქედან გამომდინარე, სულაც არ არის გასაკვირი, რომ ხელისუფლებაში მოსული კოალიციური მთავრობის ახალგამომცხვარი მინისტრები და სხვა მაღალჩინოსნები, რომელთაც „სუფრა“ ერთიანად შეჭმულ-დაცარიელებული დახვდათ, ხელის გასამართავად და მსხვილ-მსხვილი სესხების დასათრევად უმალ კომერციულ ბანკებს მიადგნენ. რა თქმა უნდა, ძნელია წინასწარ ვივარაუდოთ, რა მოგებას გამოკრავენ ხელს კომერციული ბანკები ჩინოვნიკების კრედიტებიდან მიღებული შემოსავლებით, ან სესხების გადაუხდელობის შემთხვევაში ამ უკანასკნელთა ქონების დაყადაღება-გაყიდვით, მაგრამ წინა მთავრობის გამოცდილებას თუ დავეყრდნობით, მსგავს აღებ-მიცემობაში მხარეები არც თუ ურიგო ნადავლს უნდა ელოდნენ. სხვა თუ არაფერი, განა ნაციონალმა მიშბანდელებმა ფინანსური ხელმოკლეობიდან გამოძრომა მსგავსი სესხებით არ მოახერხეს?

ხელისუფალ ჩინოვნიკებს რა უჭირთ (მაღალ ხელფასებთან ერთი ჯიბეში პრემიებსაც იჩხრიალებენ), ფული არ აკლიათ და იოლად გადაიტანენ მოგებაზე დახარბებული ბანკების მსუნაგობას, მაგრამ რა ქნას უმუშევრობითა და უსახსრობით გაწამებულმა მოსახლეობამ, რომელსაც კომუნალური შესატანების გადახდისას ბანკებისთვის საკომისიოს გადახდაც უწევს. ყველას კარგად გვახსოვს, იყო პერიოდი, როცა მოსახლეობა დენის, გაზისა და წყლის დანახარჯის საფასურს ამავე დარგების კომპანიების მიერ გამოყოფილ პუნქტებში იხდიდნენ ზუსტად იმდენს, რამდენსაც ხარჯავდა და საპრეტენზიოც არაფერი ჰქონდა, მაგრამ გამოხდა ხანი, ხსენებულმა კომპანიებმა მოსახლეობისგან გადასახადის აკრეფის ეს „არქაული ტვირთი“ თავად ჩამოიხსნეს და კომერციულ ბანკებს გადაულოცეს, თქვენ დიდი თავი გაბიათ და ტირილი მოგიხდებათო. თავიდან ბანკები „უცრემლოდ“ ასრულებდნენ დაკისრებულ მოვალეობას, მაგრამ შემდეგ „გონს მოეგნენ“ და გაჭირვებულ მოსახლეობას, რომელიც გადასახადისგან ისედაც წელში წყდებოდა, მომსახურების სანაცვლოდ საკომისიო გადასახადი დაუწესეს.

მარტო ეს არ არის, **კომერციული ბანკები ხელიდან არ უშვებენ რაც შეიძლება მეტი სარგებლის მიღების ისეთ შანსს, როგორიც გახლავთ საბანკო მარჟა, თანაც ახლა, როცა ეროვნული ვალუტა წარამარა უფასურდება. ბანკები სარგებლობენ ლარის სისუსტით და ვალუტის გადაცვლისას, ან გნებავთ, სესხის გასტუმრებისას მოსახლეობას უღმერთოდ ატყავებენ.** საქმე იმაშია, რომ ბევრს შემოსავლები ეროვნულ ვალუტაში აქვს და სესხის გასტუმრების დაბალი საგადამცვლელო კურსით მნიშვნელოვან თანხას აკარგვინებენ.

თუ შევადარებთ ბანკებსა და ჩვეულებრივ სავალუტო ჯიხურებს შორის ვალუტის კურსებს, დავინახავთ, რომ ბანკები ბევრად წამგებიან პირობებს სთავაზობენ კლიენტებს, ვიდრე ვალუტის გადამცვლელი პუნქტები. შესაბამისად, ვალუტის კონვერტაციისას ბანკები გაცილებით მეტ თანხას სძალავენ მოსახლეობას, ვიდრე რიგითი სავალუტო ჯიხურები. თუმცა, როგორც ქვეყნის მრავალნაცადი ბანკირის **მამუკა ხაზარაძის** პირიდან ჩემი ყურით მოვისმინე, ეს ჩვენ გვეჩვენება, რომ ეროვნული ვალუტის რყევით ბანკები დიდ ფულს შოულობენ, თორემ სინამდვილეში, ლარის კურსის რყევა-დევალვაცია არა მარტო ბანკების კრედიტორებს, არამედ თავად ბანკებსაც თურმე მძიმე ფინანსურ დარტყმას აყენებს.

ესეც თქვენ, სკეპტიკოსებო, ვისაც გგონიათ, რომ კომერციული ბანკები რაღაც სპეკულაციებითა და მაქინაციებით, ეროვნული ვალუტის გასაჭირს თავიანთ სასარგებლოდ იყენებენ და ღატაკი ხალხის ხარჯზე მილიონებს შოულობენ. არაო, ასე იოლი არ გახლავთ მილიონების კეთება, როგორც ჩვენს ოპონენტებს ჰგონიათო, — განაცხადა ხაზარაძემ ტელეეთერიდან და იქვე განმარტა: **„ლარის ვარდნა არც ბანკს აწყობს, რადგან კაპიტალის შემცირებასა და ინვესტიციების დაკარგვას იწვევს. მეორე მხრივ, ვარდნა ჩვენს კლიენტებს უქმნის პრობლემას, მათ სესხის დაბრუნება უჭირთ, მათი თანხა რეზერვში მიდის და ბანკის შემოსავალს აკლდება“.**

აბა, როგორ, თურმე ამ ჩვენი „მორბენალი“ ვალუტის გადამკიდე ბანკები დიდ გასაჭირში არიან და ჩვენ კი შეცოდების მაგივრად მათ გამძლეობა-შემართებას თათხვა-კრიტიკით ვაცამტვერებთ. **ბატონ ხაზარაძეს თუ დავუჯერებთ, „ლიბერთი ბანკის“ თავკაცობასაც უნდა ვემადლიერებოდეთ იმ დამსახურებისათვის, რომ ავანსად გაცემული პენსიისათვის გაჭირვებულ პენსიონერებს პროცენტებს ახდევინებენ. არადა, პენსიონერს რომ თავისივე პენსიას სესხად მისცემენ და მერე იქიდან პროცენტს ააფცქვნიან, ასეთი ბანკებისგან რა სიკეთეს უნდა მოველოდეთ?**

> **რა გამოვიდა? ბატონი ბიძინა ხალხს უფასო ფულს ჰპირდებოდა, სინამდვილეში კი, ფულს ისეთი ფასი დაედო, დღემდე რომ არავის გაუგია. სამაგიეროდ, იმ უფასო ფულმა, რომელიც გაჭირვებულ მოსახლეობას უნდა რგებოდა, მსუნაგი ბანკირების ჯიბეში გადაინაცვლა.**

> **ДЦЕС ВЕР НАХАВТ СФЕРОС, САИДАНАЦ КОМЕРЦИУЛИ БАНКЕБИ МОГЕБИТ ПИРС АР ИТКБАРУНЕБЕНЕ. АМИС НИМУШАД ГАМОДГЕБА ТУНДАЦ БАНКЕБИС АРАПРОФИЛУРИ БИЗНЕСИСАКМИАНОБА. МАС ШЕМДЕГ, РАЦ БАНКЕБС БИЗНЕСШИ ЦХВИРИС ЧАСАЧОФАД КАНОНИТ ХЕЛ-ФЕХИ ГАЕХСНАТ, ДАИГЧОМАТ МИЕР АМ СФЕРОС АНЕКСИА. ДЦЕС БАНКЕБИ ФЛОБЕНЕ САДАЗЦВЕВО КОМПАНИЕБС, САМШЕНЕБЛО ДА САМЕДИЦИНО ДАГЕСЕБУЛЕБЕБС, ЦВИНИС САГАРМОЕБС, ТУРИСТУЛ СААГЕНТОЕБС ДА КИДЕВ РАС АЦАР. АМИС ШЕМДЕГ СУЛАЦ АР АРИС ГАСАКВИРИ, РОМ БАНКМА КРЕДИТИС ГАЦЕМИСАС ПРИОРИТЕТИ МИАНИЧОС САКУТАР КОМПАНИАС ДА АРА, КОНКУРЕНТС, РОМЕЛИЦ МИДИС БАНКШИ СЕСХИС АСАЦЕБАД.**

აღარაფერს ვამბობ ბანკების მიერ გაცემული კრედიტების საპროცენტო განაკვეთების თაობაზე (საქართველო მიეკუთვნება იმ ქვეყნების რიცხვს, სადაც საბანკო კრედიტების საპროცენტო განაკვეთები ყველაზე მაღალია) და აქედან გამომდინარე, იმ მძიმე ურთიერთობაზე, რაც ბანკებსა და კრედიტორებს შორის იქმნება. ლაპარაკია, უპირველეს ყოვლისა, ბანკების მიერ მომხმარებლებთან დადებულ ხელშეკრულებებზე, რომლებიც კაბალურია. **საკრედიტო ვადის გასვლის დროს ბანკები არ ითვალისწინებენ, გადამხდელს გააჩნია თუ არა მუდმივი შემოსავლის წყარო, ვადაგადაცილება განპირობებულია ობიექტური თუ სუბიექტური მდგომარეობით და სხვა, რაც კრედიტორს კაბალურ პირობებში აყენებს. ბანკების მხრიდან ასეთი უჯიათობის მსხვერპლია დღეს საქართველოში ათეულათასობით იპოთეკური სესხის მქონე მოსახლეობა, რომელთაც ვალის გადაუხდელობის შემთხვევაში უბინაოდ დარჩენის საშიშროება ემუქრებათ (აკი უამრავი დარჩა კიდეც ქუჩაში).**

არადა, ხელისუფლებაში მოსვლამდე „ქართული ოცნება“ როგორ მსუყე-მსუყე დაპირებებს იძლეოდა. **„ხელისუფლებაში ჩვენი მოსვლის შემთხვევაში თქვენ გექნებათ უფასო ფული, ანუ დიდი კრედიტები ნულოვანი პროცენტით და ამის გარანტი ვიქნები მე“, — ასე აიმედებდა ბიძინა ივანიშვილი ბანკების მიერ უსინდისოდ გაძარცულ მოსახლეობას.** ეს იყო დაპირება, მაგრამ რა მივიღეთ 5 წლისთავზე?!

2018 წლის პირველი იანვრის მდგომარეობით, ფიზიკური პირების სესხებმა კომერციული ბანკების მიმართ შეადგინა 19,7 მილიარდი ლარი, რაც გასულ წელთან შედარებით 1,4 მილიარდით, ხოლო 2016 წელთან შედარებით 6,4 მილიარდით არის გაზრდილი. შესაბამისად, გაზრდილია იურიდიულ პირებზე გაცემული სესხების მოცულობაც.

რა გამოვიდა? **ბატონი ბიძინა ხალხს უფასო ფულს ჰპირდებოდა, სინამდვილეში კი, ფულს ისეთი ფასი დაედო, დღემდე რომ არავის გაუგია. სამაგიეროდ, იმ უფასო ფულმა, რომელიც გაჭირვებულ მოსახლეობას უნდა რგებოდა, მსუნაგი ბანკირების ჯიბეში გადაინაცვლა.** სწორედ ამის შედეგად, ეროვნული ბანკის ინფორმაციით, 2017 წელს კომერციული ბანკების სუფთა მოგებამ, ანუ მოგების გადასახადის შემდეგ მოგებამ, 870 მილიონი ლარი შეადგინა, რაც 2016 წლის მაჩვენებელზე 191 მილიონი ლარით (28 პროცენტი) მეტია! ვერაფერს იტყვი, მილიარდერი ივანიშვილის მიერ დაქადნილი მეხუთე „საოცარი წელი“ მართლაც რომ „საოცარი“ გამოდგა, ოღონდ ბანკებისთვის (ლამის მილიარდიან მოგებას გამოჰკრეს ხელი) და არა, მოსახლეობისთვის, რომელიც ამ წელს კიდევ უფრო გაღატაკდა.

ასეთი ცხოვრება, დუხჭირი ყოფა, სულ უფრო აუტანელი ხდება. არ შეიძლება, ქვეყნის ეკონომიკას ხელისუფალთა ნაცვლად მართავდნენ მსუნაგი ბანკირები, მე ვემხრობი მეცნიერი ექსპერტის, პოლიტოლოგ **იგორ კვესელავას** აზრს: **„ქვეყანამ რაღაც ზომები უნდა მიიღოს ბანკების აღვირახსნილი ქმედების წინააღმდეგ, რამაც სოციალური ფონი კიდევ უფრო დაძაბა. ღარიბს ემატება ღატაკი და საშუალო ფენა აღარ არსებობს, ხოლო როდესაც ქვეყანას საშუალო ფენა არ ჰყავს, ნებისმიერი ხელისუფლების საქმე წასულია“.**

არავინ იფიქროს, რომ ბანკების მოგების წინააღმდეგი ვარ. კომერციული ბანკები იმისთვის არსებობენ, რომ კრედიტები გასცენ და იქიდან მიღებული მოგებით თავიც ასარგებლონ და ქვეყანაც, მაგრამ არა ისე, რომ ამან ბიზნესიც აზარალოს და მოსახლეობაც. არ ვარგა, როცა ღარიბ ქვეყანაში რიგითი ადამიანები სიღატაკეში, ხოლო ჩინოვნიკები და ბანკირები კი სიმდიდრეში იხრჩობიან.



ოთარ ხუციშვილი

საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფი: ყაზახურ მხარესთან „ყაზტრანსგაზ-თბილისის“ შეძენაზე შეთანხმება მიღწეულია

საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფი „პირველ რადიოსთან“ აცხადებს, რომ კომპანია ბოლო პერიოდის განმავლობაში მოლაპარაკებას აწარმოებდა ყაზახურ მხარესთან, კერძოდ, კორპორაცია „ყაზმუნაიგაზთან“ „შპს ყაზტრანსგაზ-თბილისის“ საწესდებო კაპიტალში მათ საკუთრებაში არსებული წილის 100% გამოსყიდვის შესახებ. მხარეებს შორის შპს „ყაზტრანსგაზ-თბილისში“ წილის გასხვისების შესახებ პრინციპული თანხმობა უკვე მიღწეულია, გარიგების მასშტაბურობიდან გამომდინარე, აუცილებელია საბოლოო იურიდიული დეტალების დაზუსტება, რაც გარიგების გასაფორმებლად გარკვეულ დამატებით დროს მოითხოვს. საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფი ითვალისწინებს რა ამ საკითხის გარშემო არსებულ ფართო საჯარო ინტერესს, გამოთქვამს მზადყოფნას აღნიშნული საბოლოო სამართლებრივი პროცესის დასრულების შემდეგ გაავრცელოს ოფიციალური ინფორმაცია გარიგების შესახებ“, — აცხადებენ კომპანიაში.

Georgian Industrial Group

არქიტექტორის მომნუსხველობა
მინის საერთაშორისო მოწყენილობის ფონზე

„იძნებოდა კი ვან გოგი ვან გოგი თავისი წერილების გარეშე?“ — ეს კითხვა 33 წლის **ვახტანგ დავითაიას** გასჩენია.

და დღეს, 50 წლის შემდეგ, სრული საფუძველი გვაქვს, ვიკითხოთ: **იქნებოდა კი ვახტანგ დავითაია ვახტანგ დავითაია მისი წიგნების გარეშე?**

ნახევარი საუკუნის წინათ დასმული შეკითხვა თვითონ უპასუხოდ დატოვა.

ჩვენც ასე მოვიქცეთ: დაე, პასუხი თავად წიგნებმა გაგვცენ...

* * *

ჩვენს წინაშე სახელგანთქმული არქიტექტორის ორი ახალი წიგნია: **„ცხოვრების ფურცლები“** — (ორ ტომად) და **„ჩანაწერები“**.

პირველი (ორტომეული) **„ივერიონმა“** გამოსცა, მეორე — **„ინტელექტმა“**.

ფაქტობრივად, სამივე წიგნში ჩანაწერებია, უმეტესად, მცირე მოცულობის დღიურები.

და მაინც რამდენი დაგროვებულა?!

ეს იმიტომ, რომ გულგრილი არასოდეს ყოფილა.

„დადგება დრო, როდესაც ადამიანებს პასუხს მოსთხოვენ დუმილისათვის“ — ესეც ქრისტეს ასაკში ჩაუწერია.

ვახტანგ დავითაიას ასეთი დროის დადგომისა ნამდვილად არ უნდა ეშინოდეს, რადგან დუმილის უფლება საკუთარი თავისთვის არასოდეს მიუცია — არც მისაღები და არც მიუღებელი ხელისუფლების პირობებში.

მისთვის მთავარი ხელისუფლების მიერ გადადგმული კონკრეტული ნაბიჯების სისწორეა და არა პირადი სიმპათია-ანტიპათია.

* * *

ჩანაწერები, **როსტომ ჩხეიძე** დოკუმენტურ პროზას რომ მიაკუთვნებს, დღეს ძალიან პოპულარული ჟანრია.

ესეც უნდა ითქვას, ზოგიერთი ამ ჟანრს მემუარებისგან ვერ ანსხვავებს, არადა, „შუა უზის დიდი ზღვარი“.

ჩანაწერები იშვიათ მწერლურ და პუბლიცისტურ ნიჭს მოითხოვს, ფორმის ლაკონიზმსა და დახვეწილობას, ნათელ სტილს, მოკლედ თქმის ხელოვნებას.

ვახტანგ დავითაიას ეს კარგადა აქვს გააზრებული.

თვითონვე ამბობს: **„ო, რა ძნელია მარტივად თქმა!“**

ეს ჯერ კიდევ 34 წლისას გაუცნობიერებია.

და დღეს, 50 წლის შემდეგ, მისი დღიურები მოკლედ თქმის ხელოვნებითაც გვაოცებენ.

„დაბადებასა და სიკვდილს შორის მანძილს ცხოვრება ჰქვია.“

„რამხელა სიმღერაა „ოდოია“, არადა, სულ ერთი სიტყვაა.“

„გარეგანი ფორმა, ხშირ შემთხვევაში, ვერ გამოხატავს შინაარსს. შენობა ასუჯრედიანი ფასადით, არქიტექტურული თვალსაზრისით, შეიძლება, ერთუჯრედიანი იყოს“;

„ერთი მსახიობის თეატრი კარგია, ერთი „ბელადის“ ქვეყანა კი — კატასტროფა.“

ნიმუშების ამოწერას კიდევ გავაგრძელებდი, მაგრამ წინ მისივე მოკლედ ნათქვამი გადამეღობა:

„აღტაცებასაც აქვს საზღვარი.“

* * *

მოკლედ თქმა ოსტატობაა, მაგრამ მთავარი მაინც პოზიციაა, ანუ: რას ამბობ, რაზე ამახვილებ ყურადღებას, მხარს რას უჭერ ან რას უპირისპირდები.

ორივე წიგნი(ორტომეული და „ჩანაწერები“) 1967 წლიდან იწყება.

პირველი ჩანაწერიც ორივეგან იდენტურია:

„9. IV. 1967. დღეს გაიხსნა საქართველოს მხატვართა მე- 7 ყრილობა. სიტყვით გამოვიდა ბატონი კონსტანტინე გამსახურდია. ბრძანა: თუ მთავრობა დავით აღმაშენებელს ძეგლს არ დაუდგამს, ჩემი სახლის წინ ჩემი სახსრებით ავუგებ მას ძეგლსო... დასძინა, სააკაძე გამყიდველი იყო და უცხოეთში გარყვნილებას ეწეოდაო, მენშევიკი პლეხანოვის და ქაქიჭამია კამოს ქუჩები უნდა იყოს თბილისში და თამარისა არაო?“

ეს ჩანაწერი, ამით დაწყება უკვე პოზიციაა!

მოქალაქეობრივი პოზიცია!

გნებავთ, ეროვნულიც.

ახლა ვნახოთ, რას უპირისპირდებოდა ვახტანგ დავითაია ე. წ. ნაციონალური ხელისუფლების დროს:

2011 წლის ჩანაწერები:

„დღეს კულტურას მასის გემოვნება, მასის ინსტინქტი მართავს“;



„სასაცილოა სააკაშვილის ყოველდღიური „შეხვედრა“ ხალხთან. ეს „ხალხი“ გუბერნატორების მიერ სახლებიდან გამორეკილი ადამიანები არიან“;

„ისეთი შეგრძნება მაქვს, რომ ერთ მშვენიერ დღეს, ბატონი სააკაშვილი, როდესაც აღარ იქნება პრეზიდენტი, შესაძლოა, არც საქართველოს მოქალაქე, იტყვის, ხომ ჩავატარე ექსპერიმენტი ქართველების გამძლეობაზე, ამტანობაზე, მოთმინებაზე, მონობაზე“...

სხვათა შორის, მაშინ ვახტანგ დავითაია ამასაც ფიქრობდა:

„ყველა აქცია, რომელიც მიმართულია ბიძინა ივანიშვილის წინააღმდეგ — მოქალაქეობის ჩამორთმევა (მეუღლესაც), „ქართუ“ ბანკის რევიზია, ფულის დატყვევების ინციდენტი, წვრილ-წვრილი ბრალდებები, ყველაფერი ბატონი ბიძინას წისქვილზე ასხამს წყალს.“

სააკაშვილი აღარც პრეზიდენტია და აღარც საქართველოს მოქალაქე.

დღეს (მას შემდეგ) რას ფიქრობს და წერს ვახტანგ დავითაია?

2014 წლის ჩანაწერი:

„ვერ გავიგე, ხელისუფლება ხელისუფლობს თუ სოკოებივით მომრავლებული „არასამთავრობოები“ ... დავნიშნოთ ბარემ პრეზიდენტად, პრემიერ-მინისტრად, პარლამენტის თავმჯდომარედ...“

„მოუსმინეს“.

დანიშნეს კიდეც.

ზოგი — აქეთ (მთავრობისკენ);

ზოგიც — იქით (პრეზიდენტისკენ).

მთლად თავიანთ სავარძლებს ხომ არ დაუთმობდნენ?

თუ ასე გააგრძელეს, შეიძლება, ისინიც დაათმობინონ.

2017 წლის ჩანაწერი:

„კაპიტალი, ფული მძლეთამძლე და ულმობელია. მან არაერთი ქალაქი და ურბანული ძეგლი შეურაცხყო. უნდა ამოვიცნოთ კაპიტალის ინტერესი და შევთავაზოთ ალტერნატივები, უნდა მოვაქციოთ ის არქიტექტურულ-ურბანული ინტერესების ჩარჩოში — ესაა ხელისუფლების უპირველესი მოვალეობა. სხვანაირად ქაოსი და ურბანული კოლაფსი გარდაუვალია.“

მაინცდამაინც ასეთ შეგონებებს არ უსმენენ.

ხელს არ აძლევთ.

* * *

თქმისთვის ბევრი დასჯილა, დუმილისათვის — არავინ, თუმცა, ზოგჯერ დუმილი თქმაზე უფრო დიდი დანაშაულია.“

დღეს სხვა დროა.

დასჯის ფორმები შეცვლილია.

ხელოვანს თქმისთვის სიკვდილით აღარ სჯიან.

აღარც იჭერენ.

დიდი-დიდი „ჩარეცხონ“.

ან უგულებელყონ.

არ მოუსმინონ.

ნამდვილი ხელოვანისთვის, ესეც მძიმე სასჯელია.

მაგრამ მთავარი მაინც ისაა, რომ დუმილი არ შეგვეძლოს.

ვახტანგ დავითაიას კი მართლაც „არასოდეს სწყალობდა დუმილის ღმერთი“ — არცერთ ეპოქაში, არცერთი ხელისუფლების ჟამს.

* * *

ზემოთ ორი ეპოქა გამოვტოვე.

არის ორიოდე საკითხი, რაშიც ბატონ ვახტანგთან ვერასოდეს შევთანხმდები.

ეს სრულიადაც არ მიშლის ხელს, მისი გულმხურვალე პატივისმცემელი ვიყო.

მეტიც, ის გულწრფელად მიყვარს.

მიყვარს მაღალი პროფესიონალიზმის, იშვიათი პიროვნული ღირსებებისა და იმ უმთავრესის გამო, რაც ამ ჩანაწერშია გაცხადებული:

„რას ნიშნავს ეროვნულობა არქიტექტურაში? არქიტექტურული ატმოსფერო ისე უნდა იყოს წარმოდგენილი, რომ გრძნობდე უწყვეტ კავშირს ერის სულიერ და მატერიალურ კულტურასთან.“

აქ აზრი არა აქვს დემაგოგთა გამოხტომას, რადგან ვახტანგ დავითაიას ზურგს თვით **მაჰათმა განდი** უმაგრებს. დიდი ინდოელის მსგავსად, მასაც სურს, ღია იყოს სამშობლოს კარ-ფანჯრები, რათა სხვა ქვეყნების კულტურა თავისუფლად შემოდიოდეს, მაგრამ არ უნდა, მათგან წალეკილი იყოს.

* * *

„ვწერ ისევე, როგორც ვფიქრობ, ვლაპარაკობ ისე, როგორც ვფიქრობ. მე არ მიზრუნია იმაზე, როგორ ვთქვა, ჩემი მიზანი არასდროს ყოფილა სიტყვებთან ჭიდილი.“

ამ ჩანაწერის პირველ ნაწილს უყოყმანოდ დავეთანხმებით, მეორე კი საკამათოდ უნდა ვაქციოთ, რადგან „ჩანაწერებსა“ და „ცხოვრების ფურცლებში“ სიტყვასთან ჭიდილის მაგალითებიც უხვადაა.

ამის საუკეთესო ნიმუშია, „ივერიის“ განახლებული შენობის მისეული აღწერა, დიდი პროფესიონალისა და მოქალაქის გულისფეთქვას რომ გამოსცემს:

„მას ადგილის სულის, ერის კულტურის, მენტალობის განცდა არა აქვს. უსამშობლოა, უმისამართო, უკონტაქტო. არ სუნთქავს. სიცოცხლის ნიშანწყალს არ ავლენს. მინის საერთაშორისო მოწყენილობას კიდევ ერთი შენობა შეემატა, ამჯერად, თბილისში.“

რომელი მწერალი დაიწუნებდა არქიტექტორის ამ სტრიქონებს?!

მხოლოდ არქიტექტორის თვალი ვერც იმ პაწია ბოშა გოგონას შენიშნავდა, ვაჟა-ფშაველას გამზირისა და პეკინის ქუჩის კუთხეში, შუქნიშანთან შეჩერებული მანქანებისკენ ხელგაწვდილი რომ გარბის, ხოლო, როცა მწვანე აინთება, ტროტუარს მიაშურებს და ხატვას აგრძელებს.

მხოლოდ არქიტექტორი, ალბათ, ვერც ამას იტყოდა:

„რა მომნუსხველად საუბრობს სიჩუმე!“

არქიტექტორ ვახტანგ დავითაიას კალამიც მომნუსხველად საუბრობს.

* * *

პოეტი ყველა ნამდვილ ხელოვანში ცოცხლობს.

ბუნებრივია, ყველა ნამდვილ არქიტექტორშიც.

ვახტანგ დავითაიამ ეს უბრალოდ კი არ იცის, თავისი ხელოვნებით ადასტურებს.

მსოფლიოს გამოჩენილ ხუროთმოძღვართა მსგავსად, ისიც ყოველთვის ოცნებობდა „რონშანზე“, ანუ პოეზიაზე და დღეს სრული უფლება აქვს, დაწეროს:

„მეც მაქვს ჩემი „რონშანი“ - ალგეთის ბაზილიკა, ქუთაისის მემორიალი, ხელოვნების ცენტრი მთაწმინდა.“

მხოლოდ სამი დაასახელა.

შეგვიძლია, უამრავი მივუმატოთ.

„ ვახტანგ დავითაიას ალგეთის ბაზილიკა არქიტექტურაზე მეტია“, — დაწერა თავის დროზე **დავით ანდრიაძემ.**

დღეს კი ასე ვიტყოდი: ვახტანგ დავითაიას ჩანაწერები ჩანაწერებზე მეტია, ხოლო მისივე „ცხოვრების ფურცლები“ — ცხოვრებაზე მეტი...

იოსებ ჟუმბურიძე

„ეროვნული ბანკის მომავალი პრეზიდენტი“

საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ქართული ფულის თემაზე გამოცხადებული ხატვის ღია კონკურსის „ეროვნული ბანკის მომავალი პრეზიდენტი“ ფარგლებში კომპეტენტურმა ჟიურიმ 20 გამარჯვებული ნამუშევარი გამოავლინა.

საქართველოს ეროვნული ბანკის ინიციატივითა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ჩართულობით, „ფინანსური განათლების წლისა“ და „გლობალური ფულის კვირეულის“ ფარგლებში, ხატვის ღია კონკურსი II-VII კლასელთათვის ქვეყნის მასშტაბით თებერვლის დასაწყისში გამოცხადდა. ნამუშევრების პირველადი გადარჩევა თითოეული სკოლის დონეზე მოხდა, საბოლოო ჯამში კი, ეროვნულ ბანკში 300-ზე მეტი ნამუშევარი იქნა წარმოდგენილი, რომელთა ნაწილი არსებული ბანკნოტებისა და მონეტების საინტერესო ხედვას გვთავაზობს, ნაწილი კი — სრულად ახალ ნომინალებსა და დიზაინს წარმოადგენს.

გარდა აღნიშნული 20 გამარჯვებული ავტორისა, საგანგებო აღნიშვნის ღირსია ქობულეთელი მოსწავლის მიერ შესრულებული 50-თეთრიანი ნომინალის მონეტა, რომელმაც ჟიურის მხრიდან განსაკუთრებული მოწონება დაიმსახურა. გამარჯვებულ მოსწავლეებს საქართველოს ეროვნული ბანკი 25 მარტს ყვარელის ფულის მუზეუმში უმასპინძლებს, სადაც ისინი მოისმენენ ლექციას ქართული ფულის ისტორიის შესახებ.

ანდროპოვის გეგმა, რომლითაც საბჭოთა კავშირი დასავლეთის ნაწილი უნდა გამხდარიყო

საინტერესოა, მაინც რა ბედი შეიძლებოდა სწვეოდა საბჭოთა კავშირს 1984 წელს, კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი იური ანდროპოვი რომ არ გარდაცვლილიყო?

ამ ყველაზე ინტელიგენტური, მაგრამ, ამავდროულად, ქვეყნის ყველაზე დაუნდობელი ლიდერის ხანმოკლე (1982 წლის ნოემბრიდან 1984 წლის თებერვლამდე) მმართველობა ახლაც იდუმალებითაა მოცული და მითქმა-მოთქმის საგანია. ყველასთვის ცხადია, რომ მას ქვეყნის შეცვლა სურდა, მაგრამ მთავარია, მართლა არსებობდა თუ არა საიდუმლო გეგმა, ანდა რა იქნებოდა, მას რომ ჩანაფიქრის შესრულება დასცლოდა?

ყველა ამ კითხვაზე ერთმნიშვნელოვნად პასუხის გაცემას ის გარემოება ართულებს, რომ საბჭოთა კავშირის რეფორმირების გეგმასთან დაკავშირებით საბუთები, როგორც ამბობენ, არ დარჩა, თუმცა კი მათ ბევრი ვინმე ახსენებს კერძო საუბარშიც და საჯარო გამოსვლებშიც.

მაშ, რა უნდა ვიფიქროთ?

ბევრი საქმეში ჩახედული კაცი დარწმუნებულია, რომ ასეთი გეგმა მართლაც არსებობდა, მაგრამ მისი მოხაზულობა საკმაოდ ბუნდოვანი იყო: კონკრეტული ნაბიჯების ვადებში გაწერილი პროგრამა, როგორც ასეთი, არ არსებობდა, თუმცა საერთო ჩანაფიქრი კი ნამდვილად ჰქონდა.

იური ანდროპოვს მშვენივრად ესმოდა, რომ ბრეჟნევის მმართველობის ბოლო წლები ნამდვილად უძრაობის ხანა იყო, მაგრამ სწორედ ანდროპოვი იყო მისი გადადგომის პირველი და უშეღავათო მოწინააღმდეგე 1975 და 1978 წლებში, ჯერ კიდევ მაშინ, როცა სუკ-ის შეფი გახლდათ. ისმის კითხვა: რა იყო ამის მიზეზი? რა და ის, რომ მაშინ ჯერ კიდევ არ იყო პირობები ანდროპოვის ხელისუფლების სათავეში მოსასვლელად. 1982 წელს კი მისი დროც დადგა. ამქვეყნად უკვე აღარ იყვნენ კოსიგინი, სუსლოვი, მაშეროვი. პოლიტბიუროს დარჩენილ გერონტოკრატებში კი ანდროპოვი აშკარად გაცილებით გამორჩეული ჩანდა.

მისი ცვლილებების გეგმა სსრ კავშირის ეკონომიკასა და ტერიტორიულ მოწყობას ეხებოდა, კორუფციასთან ბრძოლა კი პირველის მდგენელი იყო. ანდროპოვი ხედავდა, რომ ქვეყნის ეკონომიკური მოდელი უდიდესი შეფერხებებით მუშაობს, სამართალდამცველთა მხრიდან პარტიული აპარატის ჩინოსნებზე კონტროლის უქონლობამ კი ეს უკანასკნელნი სრულიად გარყვნა.

თუ **ეკონომიკაზე** ვილაპარაკებთ, აღსანიშნავია, რომ იური ანდროპოვის დროს სამკაციანი ჯგუფი შეიქმნა, რომლის შემადგენლობაში იყვნენ ცეკას მდივანი სოფლის მეურნეობის დარგში **მიხეილ გორბაჩოვი,** ცეკას მდივანი მძიმე მრეწველობის დარგში **ვლადიმერ დოლგიხი** და **ნიკოლოზ რიჟკოვი,** რომელიც მრავალი წლის მანძილზე სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე იყო და ამ სფეროს კარგად იცნობდა.

სამივე დღესაც ცოცხალია — რიჟკოვი და დოლგიხი სენატორები არიან, გორბაჩოვი კი თავისსავე სახელობის ფონდს თავკაცობს, მაგრამ მაშინ მათ უხეში, მიუტევებელი შეცდომა დაუშვეს, როცა გეგმას საფუძვლად „კირილენკოს კომისიის“ დასკვნები დაუდეს. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ყოფილ თავმჯდომარეს ალექსი კოსიგინს მოადგილე ჰყავდა, მეცნიერებისა და ტექნიკის კომიტეტის თავმჯდომარე, აკადემიკოსი კირილენკო. სწორედ მისი ხელმძღვანელობით შემუშავდა კოსიგინის მორიგი „რეფორმის“ პროექტი, რომელმაც იმდენად შეაშინა ბრეჟნევის გარემოცვა, რომ იგი გადააყენეს, თავად კოსიგინს კი ინფარქტი დაემართა.

1980 წელს, 14 წლის მანძილზე პრემიერობის შემდეგ თავად კოსიგინიც გადააყენეს, ორ თვეში კი ისიც გარდაიცვალა. ჰოდა, როცა ხელისუფლების სათავეში მიხეილ გორბაჩოვი მოვიდა და 1985-1987 წლებში „აჩქარება“ გამოაცხადა, საფუძვლად სწორედ ის ძველი „კირილენკოსეული“ პრინციპები დაუდო, მაგრამ შემდეგ დაინახა, რომ ეფექტი არ მოჰყვა და პოლიტიკურ რეფორმაზე გადახტა: აქაოდა, პროგრამა კი კარგია, მაგრამ მოკავშირე რესპუბლიკებისა და საოლქო კომიტეტების დონეზე ამუხრუჭებენო.

ის უკუღმართი „სამეული“ კი მაშინ ნეპ-ის ეკონომიკის საფუძვლების შემოღების იდეას აყენებდა, მაგრამ უბედურება ის იყო, რომ მე-20 საუკუნის მიწურულისთვის მისი ელემენტები უკვე მოძველდა. თავის დროზე ლენინმა იმის

არსებობს ვერსია, რომლის თანახმადაც, ი. ანდროპოვი ჯერმენ გვიშიანის (კოსიგინის სიძის) მეშვეობით, რომელიც სისტემური ანალიზის საკავშირო სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტს ხელმძღვანელობდა, დასავლეთის პოლიტიკურ და ფინანსურ ელიტებთან მოლაპარაკებას ცდილობდა იმის თაობაზე, რომ საბჭოთა კავშირი დასავლეთსა და აღმოსავლეთში არსებულ ყველა მწვავე კითხვას მოხსნიდა და რომ ქვეყანა ახალი საერთო ევროპული სახლის გლობალისტურ მოდელში მისთვის მკაფიოდ განსაზღვრულ ადგილს დაიკავებდა...

პროგრამა ჩამოაყალიბა, თუ როგორ უნდა მოეპოვებინათ ხელისუფლება და რა ეკეთებინათ პირველ წლებში, სტალინმა კი ინდუსტრიალიზაცია წამოიწყო. მაგრამ, მერე რისი გაკეთება იყო საჭირო? შემდეგ კი დინამიკურად განვითარებადი დასავლეთისადმი ასეთივე დინამიკური ახალი თეორია უნდა დაეპირისპირებინათ, მაგრამ ამის გაკეთება ვერც ხრუშჩოვის, ვერც ბრეჟნევის, ვერც გორბაჩოვის მმართველობის დროს ვერ მოხერხდა. ამის შედეგად კი საბჭოთა კავშირი დაიშალა.

სხვათა შორის, ჯერ კიდევ 1983 წლის მაისში იური ანდროპოვმა ცნობილი სტატია გამოაქვეყნა, რომელშიც პირდაპირ განაცხადა: **„ჩვენ არ ვიცნობთ საზოგადოებას, რომელშიც ვცხოვრობთ. მას 70 წელი ვაშენებდით, მაგრამ საბოლოო ანგარიშით რა ავაშენეთ, კაციშვილმა არ იცის“.** მან, ფაქტობრივად, პარტიას დისკუსიის გამართვა შესთავაზა, მაგრამ ის არ შედგა: პარტიული აპარატი შიგნით იმდენად გახრწნილი იყო, რომ რაღაც საჯარო განხილვები სულ ფეხებზე ეკიდა. პარტიულ ჩინოსნებს უკვე თავადაც არაფრისა სწამდათ. ამიტომ **საბჭოთა კავშირის დაშლაში პარტიული აპარატის როლი ძალიან დიდია.** ამის მთავარი მიზეზი კი ისაა, რომ პარტიის ზედა ეშელონი ბურჟუაზიული გახდა. ამდენად, გორბაჩოვის ხელისუფლების სათავეში მოსვლა სწორედ რომ პარტნომენკლატურის მოთხოვნა გახლდათ. მათ არაფერში სჭირდებოდათ ახალი სტალინისტი, უაღრესად ხისტი და მკაცრი ხელმძღვანელი რომანოვი, რომელიც იმხანად ლენინგრადის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი იყო. ის კი პარტიული ნომენკლატურის გაზულუქებულ ბიჭებს რკინის ხელს მოუჭერდა, მათ კი ეს, აბა, რაში სჭირდებოდათ?! მისი აღვირახსნილობისა და თავნებობის შესახებ ჭორებს კი (აქაოდა, თავის ქალიშვილს ქორწილი ერმიტაჟში გადაუხადაო) თავად „თანაპარტიელები“ უვრცელებდნენ.

ანდროპოვის ეკონომიკური რეფორმის უმთავრესი მდგენელი **კორუფციასთან ბრძოლა** იყო: მაშინ გაიხსნა ცნობილი „უზბეკური საქმე“, კრასნოდარის მხარეში პარტიის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი მედუნოვი დაიჭირეს, ბრეჟნევის ქვისლმა, შს მინისტრმა შჩოლოკოვმა თავი მოიკლა, აუარება ოლქის პირველმა პირმა ციხეში ამოყო თავი... მაგრამ კორუფციასთან ეს ბრძოლა უფრო ხელისუფლებისთვის შეტაკებას ჰგავდა, ბრეჟნევის ხალხისგან ხელისუფლების გაწმენდა უფრო იყო. მაგრამ უბედურება ისაა, რომ გორბაჩოვის „პერესტროიკის“ დროს საშუალო რანგის მმართველ რგოლს ისეთი ზიანი მიადგა, რომ 30-იანი წლების წმენდებიც ვერ შეედრება. გორბაჩოვმა ცენტრალური აპარატიც გვარიანად შეანჯღრია, რასაც რესპუბლიკურებიც და საოლქოებიც მიაყოლა და ყველაფერ ამას სარჩულად „კორუფციასთან ბრძოლა“ დაუდო, მაგრამ ყოველივე ფუჭი აღმოჩნდა — ასე მოხდა ანდროპოვის დროსაც.

ჯერ კიდევ მაშინ ლაპარაკობდნენ, რომ ანდროპოვის გეგმა მმართველობის პირველ ხანებში მკაცრი, „პინოჩეტისეული“ დიქტატურის შემოღებას ითვალისწინებდა, თუმცა კი ეს აშკარა დეზინფორმაციაა. ამ ჭორებს გორბაჩოვის მომხრეები ავრცელებდნენ **ანატოლი ჩერნიაევის** „თამადობით“, რომელიც უარყოფდა კავშირს ანდროპოვის რეფორმასა და „პერესტროიკას“ შორის. გაცილებით უფრო რეალურია, ვივარაუდოთ, რომ პარტიულ აპარატს სპეცსამსახურების ხისტი კონტროლის ქვეშ დააყენებდნენ, დისციპლინას გაამკაცრებდნენ.

რაც შეეხება **ტერიტორიულ რეფორმას,** ანდროპოვის ეკონომიკურ საკითხებში თანაშემწის **არკადი ვოლსკის,** ცენტრალური აპარატის სხვა პასუხისმგებელი თანამშრომლების თქმით, შეფის დავალებით ისინი **სსრ კავშირის, როგორც ერვნულ-ტერიტორიულ პრინციპზე დაფუძნებული ფედერაციის გაუქმებას ამზადებდნენ.**

ლაპარაკი იყო იმაზე, რომ **ყოფილი 15 მოკავშირე რესპუბლიკის მაგივრად საბჭოთა კავშირი ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებად დაიყოფოდა, რომლებსაც საფუძვლად ეკონომიკური თვითსაკმარისობისა და მოსახლეობის ერთნაირი რიცხოვნობა დაედებოდა.** ამ ყოვლისმომცველ ცვლილებას, ფაქტობრივად, იმპერატრიცა ეკატერინე მეორის ცნობილი საგუბერნიო რეფორმა ედებოდა, რომელიც მან 1775 წელს ემელიან პუგაჩოვის ცნობილი აჯანყების შემდეგ გაატარა და რომლის არსი 1917 წლამდე ეჭვქვეშ არავის დაუყენებია.

ვოლსკი იხსენებდა, რომ **ანდროპოვს ამ რეფორმის 15 ვარიანტი წარუდგინეს, თუმცა მან ყველა დაიწუნა. ბოლო ვარიანტი კი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე სულაც 41 შტატის შექმნას ითვალისწინებდა!**

არსებობს ვერსია, რომლის თანახმადაც, ი. ანდროპოვი ჯერმენ გვიშიანის (კოსიგინის სიძის) მეშვეობით, რომელიც სისტემური ანალიზის საკავშირო სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტს ხელმძღვანელობდა, დასავლეთის პოლიტიკურ და ფინანსურ ელიტებთან მოლაპარაკებას ცდილობდა იმის თაობაზე, რომ საბჭოთა კავშირი დასავლეთსა და აღმოსავლეთში არსებულ ყველა მწვავე კითხვას მოხსნიდა და რომ ქვეყანა ახალი საერთო ევროპული სახლის გლობალისტურ მოდელში მისთვის მკაფიოდ განსაზღვრულ ადგილს დაიკავებდა...

სოციალიზმის ღალატი თუ „ევროკომუნიზმი“?

ბურჟუაზიულ ევროპასთან შერწყმის იდეა ანდროპოვს ეკუთვნოდა, მაგრამ ამ დროს საბჭოთა სამხედროებმა კორეული „ბოინგი“ ჩამოაგდეს... არსებობს ვერსია, რომ სამხედროებმა, რომლებმაც ამ შინაარსის მოლაპარაკებათა წარმოების შესახებ იცოდნენ, საგანგებოდ წავიდნენ საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობათა გამძაფრებაზე.

ამის ერთ-ერთი მიზეზი კიდევ ის იყო, რომ აღმოსავლეთ-დასავლეთის დაახლოების შემთხვევაში სოციალიზმი, როგორც ასეთი, აღარ იარსებებდა: **ეს იყო სოციალიზმისა და კაპიტალიზმის საუკეთესო ნიშნების შერწყმის იდეა. სინამდვილეში კი, არსებითად, ევროკომუნიზმის შეფუთვით სოციალისტური ბანაკის შთანთქმას გულისხმობდა...**

ფაქტობრივად გამოდის, რომ გორბაჩოვმა ანდროპოვის გეგმის ნაწილობრივ რეალიზება მოახდინა, თუმცა პრიმიტიულ დონეზე. ამდენად, მან თანამედროვე ისტორიაში ერთ-ერთი გრანდიოზული ფიასკო განიცადა. აკადემიკოსი **ე. ჩაზოვი** ამბობდა, რომ ანდროპოვს დაავადებული თირკმლებით კიდევ 5-10 წელი შეეძლო ეცოცხლა. იგი რომ არ გარდაცვლილიყო, ცხადია, თავის გეგმას ბოლომდე მიიყვანდა. სავარაუდოდ, საბჭოთა კავშირი თავის საზღვრებში შენარჩუნდებოდა, თუმცა კი, ალბათ, არაეროვნული რესპუბლიკების კონფედერაციის სახით, მაგრამ რამდენად სოციალისტური იქნებოდა ეს სახელმწიფო, ახლა ძნელი სათქმელია. თუმცა ამაზე ლაპარაკი უკვე ფუჭია: ყირიმში მოგზაურობა, რომლის დროსაც ანდროპოვს თირკმლები გაუცივდა, ფატალური შედეგით დამთავრდა, რასაც მთელი დასავლეთური გეგმის ისტორიის სანაგვეზე მოსროლა მოჰყვა.

მოამზადა
ოთარ ტურაბელიძემ

საქართველოს გაყინულ კონფლიქტებს კრემლის აღმინისტრაცია მართავს

შეერთებული შტატების მთავრობაში არაერთი მნიშვნელოვანი საკადრო ცვლილება მოხდა. სახელმწიფო მდივნის პოსტს 1 აპრილიდან მაიკ პომპეო, დაზვერვის ცენტრალური სააგენტოს დირექტორი და ყოფილი „ჩაის სმის მოძრაობის“ წარმოამდგენელი კონგრესმენი დაიკავებს.

ამ ეტაპზე ნაადრევია იმაზე საუბარი, თუ როგორი იქნება მისი დამოკიდებულება რუსეთის მიმართ, თუმცა როგორც დაზვერვის ცენტრალური საგენტოს დირექტორმა და კონგრესმენმა, მან არაერთხელ გამოხატა რუსეთის მიმართ მკაცრი ტონი.

საკადრო ცვლილებები ამ ეტაპზე თავდაცვის სფეროზე არ ვრცელდება. თავდაცვის მდივანი, გადამდგარი გენერალი ჯეიმ მეტისი, პანტაგონს დანიშვნის დღიდან შეუფერხებლად ხელმძღვანელობს. მისი პოლიტიკა რუსეთის მიმართ მკვეთრად მკაცრია, რაზეც მისი არაერთი განცხადება, ამერიკის მოკავშირე ქვეყნებში ვიზიტი და პენტაგონის მიერ შემუშავებული ეროვნული უსაფრთხოების ანგარიშიც მეტყველებს. ამის კიდევ ერთი დასტური გასულ კვირას სენატში გამართული მოსმენა იყო, რომელზეც თავდაცვის დეპარტამენტის 2019 წლის ევროპული სტრატეგიის კონტურები გამოიკვეთა.

ამერიკის შეერთებული შტატების სენატში თავდაცვის ავტორიზაციის აქტის თაობაზე მოსმენა გაიმართა. სენატის შეიარაღებული ძალების კომიტეტის მთავარი მოწმე, რომელმაც ევროპაში ამერიკის სამხედრო სტრატეგიაზე ისაუბრა, შეერთებული შტატების ევროპის სარდლობის მთავარსარდალი, გენერალი კურტის სკაპაროტი იყო.

განცხადებაში, რომელიც კომიტეტის თავმჯდომარე სენატორმა ჯონ მაკკეინმა წერილობით გაუგზავნა სხდომას, ნათქვამია, რომ "შეერთებული შტატები ევროპაში ახალ სტრატეგიულ რეალობაშია. პირველი და ყველაზე სერიოზული გამოწვევა იმ საფრთხის აღიარებაა, რომელსაც რუსეთი წარმოადგენს ჩვენი ეროვნული უსაფრთხოებისა და მსოფლიო წესრიგისთვის. მეორე საკითხი კი კარგად გააზრებული სტრატეგიისა და პოლიტიკის შემუშავებაა, რომელიც ამერიკისა და მისი მოკავშირეების წინააღმდეგ არსებულ საფრთხეებს შეაკავებს და აგრესიას დაამარცხებს."

კომიტეტის მოსმენაზე, სხვა თემებს შორის, საქართველოს საკითხიც განიხილეს. სენატორმა დევიდ პერდუმ გენერალ სკაპაროტის საქართველოსთან პარტნიორობის გაგრძელებასთან დაკავშირებით შეკითხვა დაუსვა.

„მე მაშფოთებს გაყინული კონფლიქტები საქართველოში და თქვენგან მსურს განახლებული ინფორმაციის მიღება. ვფიქრობ, ამ კონფლიქტებს „გაყინულ კონფლიქტებს ვუწოდებთ. როგორია ჩვენი გრძელვადიანი სტრატეგია, განსაკუთრებით საქართველოს მიმართ?“ — იკითხა სენატორმა პერდუმ.

გენერალმა სკაპაროტიმ საქართველო ამერიკის „ძლიერი პარტნიორობისთვის“ შეაქო და აღნიშნა, რომ საქართველოს კარგი შეიარაღებული ძალები ჰყავს, რომლებიც ავღანეთსა და სხვა ქვეყნებში სამხედრო თუ სამშვიდობო ოპერაციებში მონაწილეობენ. გენერლის თქმით, **„საქართველოს ორ სეპარატისტულ რეგიონს რომ დავაკვირდეთ, იქ რუსეთის ფედერაციას დავინახავთ, რადგან კარგად ჩანს რუსეთის ადმინისტრაცია ამ ორ ერთეულში“.**

ამერიკის ევროპის სარდლობის მეთაურმა აღნიშნა, რომ ოკუპირებულ აფხაზეთს და სამხრეთ ოსეთს რუსეთი და კიდევ სამი ქვეყანა დამოუკიდებელ სახელმწიფოებად აღიარებს, რასაც საერთაშორისო თანამეგობრობა ეწინააღმდეგება.

გენერალ სკაპაროტის თქმით, რუსეთი ამ ერთეულებს „საკუთარი ადმინისტრაციის ქვეშ იზიდავს“. სხვა ქვეყნების მაგალითიდან ჩანს, რომ **„იქ, სადაც რუსეთს სამხედრო ძალები ჰყავს განლაგებული, იმ ერთეულების ჯარისკაცებს რუსეთის ფედერაციის სამხედრო ძალების ნაწილად აქცევენ და მათთან შეთანხმებები აქვთ, რაც კონფლიქტის განახლების შემთხვევაში რუსეთს კონფლიქტის მხარედ აქცევს“.**

გენერალ სკაპაროტის მიაჩნია, რომ სტრატეგია, რომელიც შეერთებულმა შტატებმა საქართველოში უნდა შეინარჩუნოს დიპლომატიურად და სხვა მხრივ, **„ზედმიწევნით აქტიური ჩართულობის გაგრძელებაა. დიპლომატიური ჩართულობა იმისთვისაა საჭირო, რომ ეს კონფლიქტები გადაიჭრას ქვეყნის სუვერენიტეტის პატივისცემით და იმ ხალხების თვითგამორკვევის გათვალისწინებით, რომლებიც საკუთარი თავის მართვას ცდილობენ“.**

ამერიკის შეიარაღებული შტატები საქართველოსთვის დახმარების აღმოჩენას გააგრძელებს როგორც უსაფრთხოების რეფორმის გატარების, ასევე შესაძლებლობების გაძლიერების თვალსაზრისით. პენტაგონის მაღალჩინოსანმა კიდევ ერთხელ დაადასტურა ამერიკის მხარდაჭერა საქართველოს ევრო-ატლანტიკური მისწრაფებების მიმართ და დასძინა, რომ რუსეთი ამ ძალისხმევას ხელს უშლის. **„რუსეთის მხრიდან ამ გაყინული კონფლიქტების გაგრძელება ქვეყნის მიერ დასავლეთისკენ სვლის პროცესის გაყინვის მცდელობაა, იქნება ეს ნატო თუ ევროკავშირი“.**

სენატში გამართულ ამ მოსმენაზე კონგრესის ზედა პალატაში საქართველოს დასავლური ორიერნტაციის მიმართ ორპარტიული მხარდაჭერა კიდევ ერთხელ გამოიკვეთა.

ამ ფონზე, ცოტა ხნის წინათ, დემოკრატმა სენატორმა ჯინ შაჰინმა და რესპუბლიკელმა სენატორმა ტომ ტილისმა ორპარტიული ჯგუფის მუშაობა განაახლეს, რომელიც ჩრდილო ატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციასთან კონგრესის კავშირის განმტკიცებისთვის არის გამიზნული.

ჯგუფის ხელახლა შექმნის იდეა, სავარაუდოდ, პრეზიდენტ დონალდ ტრამპის იმ წინააღმდეგობრივ კომენტარებს მოჰყვა, რომლებიც ამერიკის მხრიდან ევრო-ატლანტიკური ალიანსის მიმართ პასუხისმგებლობისა და ვალდებულების შესაძლო შემცირებას უკავშირდებოდა. გარდა ამისა, პრეზიდენტმა ტრამპმა ევროპელ მოკავშირეებში ეჭვი არაერთხელ გააჩინა ნატოს გაფართოებასთან და ალიანსის კოლექტიური თავდაცვის პასუხისმგებლობასთან დაკავშირებით.

თავდაპირველად სენატის ეს ჯგუფი 1997 წელს დაარსდა და 10-წლიანი არსებობის განმავლობაში, ნატოს გაფართოების ბევრ რაუნდს გაუწია ზედამხედველობა.

ჯგუფის რესპუბლიკელმა თანათავმჯდომარემ, სენატორმა ტომ ტილისმა თქვა, რომ ჯგუფის აღდგენის მთავარი მიზეზი მოკავშირეებისთვის გზავნილის მიწოდებაა — შეერთებული შტატების კონგრესი ნატოს და ევროპელ პარტნიორებს მხარში უდგას. მისივე თქმით, სენატი მხარს უჭერს არა მხოლოდ ნატოს ახალ წევრებს, არამედ მათაც, ვინც მომავალში გაწევრდება ალიანსში.

ია მეურმიშვილი

აიძულებენ რუსეთს, პასუხი აგოს ჩადენილ დანაშაულებზე

დასავლური მედიის ცნობით, აშშ-ის პრეზიდენტმა საუდის არაბეთის პრინც მუხამედ ბენ სალმანომთან შეხვედრის დროს განიხილა საკითხი, თუ როგორ „აიძულონ რუსეთი, პასუხი აგოს“ თავის საქციელის გამო ახლო აღმოსავლეთში.

მოლაპარაკებისას საკითხი შეეხო პრობლემის გადაჭრის თემას, რათა მოინახოს ერთობლივი საშუალება, აიძულონ რუსეთი, პასუხი აგოს თავის მოქმედებებზე სირიაში. მის მხარდაჭერაზე ირანის ატომური იარაღის პროგრამაზე და იემენის სამოქალაქო ომში თეირანის ჩართულობაზე. ამ მოქმედებებმა შესაძლოა, უდიდეს რეგიონალურ კატასტროფამდე მიგვიყვანოს, — იუწყება The Hill.

რატომ არ მიულოცა აშშ პრეზიდენტმა პუტინს გამარჯვება

აშშ-ის პერზიდენტს დონალდ ტრამპს ჯერ კიდევ არ მიულოცია ვლადიმერ პუტინისთვის კიდევ ერთი ვადით საპრეზიდენტო არჩევნებში გამარჯვება. ტრამპის პრესმდივანმა ხოგან გიდლიმ ჟურნალისტებთან განაცხადა, რომ ვაშინგტონისთვის მისი გამარჯვება არ ყოფილა სიურპრიზი და შესაბამისად სატელეფონო ზარი კრემლში არ იყო დაგეგმილი. მან ასევე დაამატა, რომ აშშ მზადაა, მომავალშიც ითანამშრომლოს რუსეთთან იმ სფეროებში, სადაც ეს შესაძლებელი იქნება. აღსანიშნავია, რომ დასავლელი ლიდერები არ ჩქარობდნენ რუსეთის პრეზიდენტისთვის მილოცვებს. პირველი ზარი კრემლში ჩინეთის სახალხო რესპუბლიკიდან იყო, შემდეგ აზერბაიჯანის, ბელარუსის, სომხეთის, ვენგრიის, უზბეკეთის, ვენესუელის, თურქმენისტანის, ყაზახეთის, ტაჯიკეთის, კუბის, მალდივის და ყირგიზეთის ქვეყნებიდან. ასევე გამარჯვება მიულოცეს ე.წ. სამხრეთ ოსეთის და ოკუპირებული აფხაზეთის თვითგამოცხადებულმა ლიდერებმა.

ტრამპი სიკვდილით დასჯის წინადადებით გამოვა

აშშ-ის პრეზიდენტი დონალდ ტრამპი ნარკოტიკების გავრცელების წინააღმდეგ ბრძოლის ფარგლებში სიკვდილით დასჯას განიხილავს. ინფორმაციას Politico ავრცელებს თეთრ სახლზე დაყრდნობით.

„იუსტიციის სამინისტრო შეეცდება, შემოიღოს სიკვდილით დასჯა ნარკომოვაჭრეთა მიმართ“ — განაცხადა თეთრ სახლში შიდა პოლიტიკის მრჩეველთა საბჭოს დირექტორმა ენდრიუ მრემბერგმა. თეთრი სახლი ასევე აღნიშნავს, რომ გეგმა, რომელიც ტრამპმა შესთავაზა, ითვალისწინებს რეცეპტების რაოდენობის შემცირებას ოპიოიდულ პრეპარატებზე. მისივე თქმით, 2016 წელს 64 ათასზე მეტი ადამიანი დაიღუპა ნარკოტიკების გადაჭარბებული დოზის გამოყენების გამო.

ცნობისთვის, 2017 წლის დეკემბერში ტრამპმა მხარი დაუჭირა ფილიპინების პრეზიდენტის როდრიგო დუტერტეს კამპანიას ნარკოტიკებთან ბრძოლის წინააღმდეგ.

თურქეთში ადამიანების უფლებები მასიურად ირღვევა

თურქეთში საგანგებო მდგომარეობის რეჟიმის გაგრძელებამ სიტუაცია მიიყვანა ადამიანების უფლებების მასიურ დარღვევამდე. რაც მიუთითებს ძალაუფლების შესაძლო გადამეტებაზე, — ნთქვამია ადამიანის უფლებათა დაცვის შესახებ, გაეროს ოფისის უმაღლესი კომისარის მოხსენებაში. დოკუმენტი მომზადდა ქვეყანაში სიტუაციის ანალიზის საფუძველზე 2017 წლის 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

ტექსტში ნათქვამია, რომ საგანგებო სიტუაციის რეჟიმის გაგრძელებამ შესაძლოა, ძალზე ცუდი გავლენა იქონიოს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ და ინსტიტუციონალურ სიტუაციაზე სახელმწიფოში. ექსპერტები აღიარებენ, რომ 2016 წლის 15 ივლისს სამხედრო გადატრიალების მცდელობისვის თურქეთი შეეჯახა ძალიან დიდ პრობლემას. გაერო ხაზს უსვამს, რომ ზომები რომლებიც ზღუდავს მოქალაქის უფლებებს საგანგებო სიტუაციის რეჟიმის ფარგლებში, უნდა შეიზღუდოს იმ შემთხვევაში თუკი იქნება სიტუაციიდან გამომდინარე ამის აუცილებლობა.

თურქეთმა მთლიანად უნდა შეწყვიტოს მოქმედება საგანგებო რეჟიმში და განაგრძოს ნორმალური მუშაობა თავის ინსტიტუტებთან. აუცილებელია, ასევე გამოკვლეულ იქნას ყველა ადამიანის უფლებების დარღვევის ფაქტი, რაც დაფიქსირდა ქვეყანაში მოქმედი საგანგებო სიტუაციის რეჟიმის დროს და მოხდეს დაზარალებულების კომპენსაცია.

საფრანგეთის ყოფილი პრეზიდენტი სარკოზი დააკავეს

გუშინ საფრანგეთის ყოფილი პრეზიდენტი ნიკოლა სარკოზი დააკავეს. არსებული ინფორმაციით, მისი დაკავება 2007 წლის საპრეზიდენტო კამპანიის დაფინანსების საქმესთან დაკავშირებით მოხდა.

საფრანგეთის ყოფილი პრეზიდენტი ახლა იზოლატორში იმყოფება. როგორც ფრანგული მედია იუწყება, საფრანგეთის ყოფილმა პრეზიდენტმა უკანონო დაფინანსება ლიბიის ყოფილი ლიდერისგან მუამარ კადაფისგან მიიღო. ნიკოლა სარკოზი უახლოეს მომავალში დაიკითხება. ყოფილი პრეზიდენტის დაკავების ვადა 48 საათია.

სატენდერო მოწვევა

სატენდერო მოწვევის დანართი, რომელიც გამოქვეყნდა 2018 წლის 13 თებერვალს

თარიღი: 20 მარტი, 2018
სესხის ნომერი და სახელწოდება: 3524-GEO: შიდასახელმწიფოებრივი გზების გაუმჯობესების პროექტი
კონტრაქტის ნომერი და სახელწოდება: SRIP/CW/ICB-02: ძირულა-ხარაგაული-მოლითი-ფონა-ჩუმათელეთის შიდასახელმწიფოებრივი გზის მოლითი-ჩუმათელეთის გზის მონაკვეთის რეაბილიტაცია კმ24+620-კმ 50+244
სატენდერო წინადადებების წარდგენის ბოლო ვადა: 13 აპრილი, 2018, 16:00 სთ (ადგილობრივი დროით)

1. საქართველოს მთავრობამ აზიის განვითარების ბანკისაგან მიიღო დაფინანსება შიდასახელმწიფოებრივი გზების გაუმჯობესების პროექტისათვის. აღნიშნული დაფინანსების ნაწილი გამოყენებული იქნება ზემოთქმული კონტრაქტის ფარგლებში გადახდების განსახორციელებლად. ტენდერში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ პრეტენდენტებს აზიის განვითარების ბანკის წევრი ქვეყნებიდან.

2. **საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტი** („დამკვეთი“) გიწვევთ, წარმოადგინოთ დალუქული სატენდერო წინადადება ძირულა-ხარაგაული-მოლითი-ფონა-ჩუმათელეთის შიდასახელმწიფოებრივი გზის მოლითი-ჩუმათელეთის გზის მონაკვეთის კმ24+620-კმ 50+244 რეაბილიტაციისათვის. მშენებლობის პერიოდი შეადგენს ოცდაათ (30) თვეს.

3. **საერთაშორისო ტენდერი** ჩატარდება აზიის განვითარების ბანკის ერთ-ეტაპიანი ერთ-კონვერტიანი სატენდერო პროცედურის თანახმად და მასში მონაწილების მიღება შეუძლია ყველა პრეტენდენტს, აზიის განვითარების ბანკის წევრი ქვეყნებიდან.

4. უფლებამოსილი მონაწილეები, უნდა აკმაყოფილებდნენ შემდეგ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს/კრიტერიუმებს (ერთობლივი საწარმოს შემთხვევაში ქვემოთ მოცემული კრიტერიუმები დაზუსტებულია სატენდერო დოკუმენტაციაში)

მიმდინარე სასამართლო დავა: ყველა მიმდინარე სასამართლო დავა ჩაითვლება გადაწყვეტილად პრეტენდენტის წინააღმდეგ. ზემოხსენებული დავების ჯამური ღირებულება არ უნდა აღემატებოდეს მონაწილის წმინდა კაპიტალის ორმოცდაათ (50) პროცენტს, რაც თავის მხრივ, წარმოადგენს განსხვავებას მთლიან აქტივებსა და მთლიან ვალდებულებებს შორის.

ფინანსური მდგომარეობა:

- მონაწილის წმინდა კაპიტალი ბოლო წლისათვის უნდა იყოს დადებითი, რაც გამოანგარიშებული იქნება სხვაობით მთლიან აქტივებსა და მთლიან ვალდებულებებს შორის.
- მონაწილის მინიმალური ყოველწლიური საშუალო სამშენებლო ბრუნვა ბოლო სამი (3) წლის განმავლობაში უნდა შეადგენდეს არანაკლებ 23, 000,000 (ოცდასამ მილიონ აშშ დოლარს), რაც დაანგარიშდება მთლიანი სერტიფიცირებული გადახდებიდან მიმდინარე და დასრულებული კონტრაქტების ფარგლებში.
- მონაწილემ უნდა აჩვენოს, რომ მას გააჩნია ხელმისაწვდომი ფინანსური რესურსები - არანაკლებ 2,900,000 (ორი მილიონ ცხრაასი ათასი) აშშ დოლარისა

მშენებლობის გამოცდილება:

ბოლო ხუთი (5) წლის განმავლობაში, მონაწილეობა **მინიმუმ ერთ (1) კონტრაქტში**, რომელიც მოცემულ შემოთავაზებულ სამუშაოთა მსგავსია და წარმატებით ან არსებითად განხორციელდა. აღნიშნულ მსგავს კონტრაქტში მონაწილის წილი უნდა აღემატებოდეს 23, 000, 000 (ოცდასამ მილიონ) ამერიკულ დოლარს. მონაწილის მიერ განხორციელებული მსგავსი სამუშაო შეფასდება სამუშაოთა ზომის, სამუშაოთა ბუნების, სირთულის, მეთოდების, ტექნოლოგიის და სხვა მახასიათებლების მიხედვით, რომლებიც მოცემულია დამკვეთის მოთხოვნებში

მშენებლობის გამოცდილება შემდეგ ძირითად ღონისძიებებში:

მშენებლობის მინიმალური გამოცდილება შემდეგ ძირითად ღონისძიებებში:

- ერთი წლის განმავლობაში არანაკლებ 10კმ სიგრძის, ასფალტ-ბეტონის საფარის მქონე ორზოლიანი გზის მშენებლობა-რეაბილიტაცია
- ხიდების მშენებლობის გამოცდილება, აღნიშნული ხიდების მთლიანი ფართობი უნდა შეადგენდეს არანაკლებ 2 000 მ2-ს წელიწადში;

5. დამატებითი ინფორმაციისა და სატენდერო დოკუმენტაციის მისაღებად, გთხოვთ მოგვმართოთ:

ბატონი ნუგზარ გასვიანი
მისამართი: ალ. ყაზბეგის 12,. 0160 თბილისი, საქართველო
ტელ: (+995 32) 2 37 05 08 შიდა: 311
ფაქსი: (+995 32) 2 37 66 03
ელ-ფოსტა: info@georoad.ge

6. სატენდერო დოკუმენტაციის შესაძენად ინგლისურ ენაზე, მონაწილეებმა უნდა განახორციელონ შემდეგი:

- წარმოადგინონ წერილობითი მოთხოვნა სატენდერო დოკუმენტაციის მისაღებად ძირულა-ხარაგაული-მოლითი-ფონა-ჩუმათელეთის შიდასახელმწიფოებრივი გზის მოლითი-ჩუმათელეთის გზის მონაკვეთის რეაბილიტაციისათვის კმ24+620-კმ 50+244
- გადაიხადონ მოსაკრებელი 200 ლარის ოდენობით ან მისი ექვივალენტი აშშ დოლარში, რომელიც არ ექვემდებარება დაბრუნებას, შემდეგ ანგარიშზე:

ლარში ანგარიშსწორებისათვის:

Name of the recipient: Treasury Account
Treasury account No. 200 122 900
Recipient Bank: State Treasury
Bank Code: TRESGE22
Old Code of the Bank (220 101 222)
Budget Income Treasure Code: 302 007 800
International Currency: No 001 189 362

დოლარში ანგარიშსწორებისათვის:
Intermediary:
FEDERAL RESERVE BANK OF NEW YORK, USA
SWIFT CODE: FRNYUS33
Receiving agent:
ACC.NO: 0D
BANK FOR INTERNATIONAL SETTLEMENTS (BIS), BASLE (USD)
SWIFT CODE: BISBCHBB
Beneficiary's bank: NATIONAL BANK OF GEORGIA, TBILISI
SWIFT CODE: BNLNGE22
Beneficiary: Roads Department of the Ministry of Regional Development of Georgia
IBAN: GE65NB0331100001150207
Payment Designation: Tender fee for the Roads Department for the Construction of Batumi Bypass Road, Section km -1+000 – 13+325.

7. გთხოვთ თქვენი სატენდერო წინადადება წარმოადგინოთ:

- შემდეგ მისამართზე;

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტი
ალ. ყაზბეგის 12
სართული/ოთახის ნომერი: მე-4 სართული, კანცელარია
ქალაქი: 0160 თბილისი
ქვეყანა: საქართველო

- არაუგვიანეს **2018 წლის 13 აპრილისა 16:00 სთ** (ადგილობრივი დროით)
- სატენდერო წინადადება წარმოდგენილი უნდა იქნას სატენდერო დოკუმენტაციით მოთხოვნილ სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის გარანტიასთან ერთად.

სატენდერო წინადადებები საჯაროდ გაიხსნება **2018 წლის 13 აპრილს, 16:30 სთ ადგილობრივი დროით**, მონაწილეთა წარმომადგენლების თანდასწრებით საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტში შემდეგ მისამართზე:

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტი
მისამართი: ალ. ყაზბეგის 12,.
სართული/ოთახის ნომერი: მე-3 სართული, საკონფერენციო დარბაზი
ქალაქი: 0160 თბილისი
ქვეყანა: საქართველო

აღნიშნული ტექსტი წარმოადგენს ინგლისურენოვანი სატენდერო მოწვევის არა-ოფიციალურ თარგმანს. შესაბამისად, უზუსტობის შემთხვევაში, უპირატესობა მიენიჭება სატენდერო მოწვევის ინგლისურ ვერსიას.

ADB

Invitation for Bids

(Corrigendum 1 IFB, original IFB publication date is 13 February 2018)

Date:	20 March, 2018
Loan No. and Title:	3524: Secondary Road Improvement Project
Contract No. and Title:	SRIP/CW/ICB-02: Rehabilitation of Dzirula – Kharagauli – Moliti – Pona – Chumateleti Secondary Road, Moliti-Chumateleti Road Section from Km 24+620 to km 50+244
Deadline for Submission of Bids:	Extended to 13 April 2018, 16:00 hours local time

1. Georgia has received financing from the Asian Development Bank toward the cost of **Secondary Road Improvement Project**. Part of this financing will be used for payments under the Contract named above. Bidding is open to bidders from eligible source countries of the ADB.

2. **The Roads Department of the Ministry of Regional Development and Infrastructure of Georgia** ("the Employer") invites sealed bids from eligible Bidders for the **Rehabilitation of Dzirula – Kharagauli – Moliti – Pona – Chumateleti Secondary Road, Moliti-Chumateleti Road Section from km 24+620 to km 50+244** Construction period is thirty (30) months.

3. **International competitive bidding** will be conducted in accordance with ADB's Single-Stage One Envelope bidding procedure and is open to all Bidders from eligible countries as described in the Bidding Document.

4. Only eligible Bidders with the following key qualifications should participate in this bidding (should a Bidder be a Joint Venture, the way how the below mentioned criteria will be applied is further detailed in the Bidding Documents):

Pending Litigation: All pending litigation and arbitration, if any, shall be treated as resolved against the Bidder and so shall in total not represent more than fifty (50) percent of the Bidder's net worth calculated as the difference between total assets and total liabilities.

Financial Situation:

- The Bidder's net worth for the last year calculated as the difference between total assets and total liabilities should be positive;
- Its minimum average annual construction turnover within the last Three (3) years must not be less than USD 23,000,000 (Twenty-Three Million United States Dollars) calculated as total certified payments received for contracts in progress or completed; and
- Bidder must demonstrate that its financial resources less its financial obligations for its current contract commitments are not less than USD 2,900,000 (Two Million Nine Hundred Thousand United States Dollars).

Construction Experience:

Participation in at least **one contract** that has been successfully or substantially completed within the last five (5) years and that is similar to the proposed works, where the value of the Bidder's participation exceeds USD 23,000,000 (Twenty-Three Million United States Dollars). The similarity of the Bidder's participation shall be based on the physical size, nature of works, complexity, methods, technology or other characteristics as described in Section 6, Employer's Requirements.

Construction experience in the following key activities:

Minimum construction experience in the following key activities:

- Construction/Rehabilitation of at least 10 km of 2 lane or equivalent road with Asphalt-concrete surface in any one year; and
- Construction of road bridges with a total combined bridge deck area of at least 2,000 m2 in one year.

5. To obtain further information and inspect the bidding documents, Bidders should contact:

Mr. Nugzar Gasviani
Address: 12, Al. Kazbegi Ave. 0160 Tbilisi, Georgia
Tel: (+995 32) 2 37 05 08 ext.311
Fax: (+995 32) 2 37 66 03
Email: info@georoad.ge

6. To purchase the bidding documents in English, eligible bidders should

- write to address above requesting the Bidding Documents for **Rehabilitation of Dzirula – Kharagauli – Moliti – Pona – Chumateleti Secondary Road, Moliti-Chumateleti Road Section from Km 24+620 to km 50+244**
- pay a nonrefundable fee of 200 Georgian Lari or equivalent in USD to:

For GEL transfer:
Name of the recipient: TREASURY ACCOUNT
Treasury account No. 200 122 900
Recipient Bank: State Treasury
Bank Code: TRESGE22
Old Code of the Bank (220 101 222)
Budget Income Treasure Code: 302 007 800
International Currency: No 001 189 362

For USD transfer:
Intermediary: FEDERAL RESERVE BANK OF NEW YORK, USA
SWIFT CODE: FRNYUS33
Receiving agent:
ACC.NO: 0D
BANK FOR INTERNATIONAL SETTLEMENTS (BIS), BASLE (USD)
SWIFT CODE: BISBCHBB
Beneficiary's bank: NATIONAL BANK OF GEORGIA, TBILISI
SWIFT CODE: BNLNGE22
Beneficiary: Roads Department of the Ministry of Regional Development of Georgia
IBAN: GE65NB0331100001150207

Payment Designation: Rehabilitation of Dzirula – Kharagauli – Moliti – Pona – Chumateleti Secondary Road, Moliti-Chumateleti Road Section from Km 24+620 to km 50+244

7. Deliver your bid

- to the address:

Roads Department of the Ministry of Regional Development
and Infrastructure of Georgia.
Street address: Al. Kazbegi Avenue #12.
Floor/Room number: IV Floor, Chancellery
City: 0160 Tbilisi
Country: Georgia

- on or before the deadline: Date: **13 April, 2018, 16:00 hours** (local time);
- together with a Bid Security as described in the Bidding Document.

Bids will be opened on **13 April, 2018, 16:30 hours** (local time) in the presence of Bidders' representatives who choose to attend at the address below:

Roads Department of the Ministry of Regional Development and Infrastructure of Georgia
Street address: Al. Kazbegi Avenue #12
Floor/Room number: III Floor, Conference Hall
City: 0160 Tbilisi
Country: Georgia

◎ ძიუდო

ბრინჯაო რუსული ტატამიდან

საქართველოს ძიუდოისტთა ნაკრებმა ეკატერინბურგის გრანდ სლემი ერთადერთი ბრინჯაოს მედლით ჩაამთავრა. რუსულ კვარცხლბეკზე 81 კილოგრამ წონით კატეგორიაში მოჭიდავე ზებედა რეხვიაშვილი ავიდა.

ოქრო-ვერცხლის შანსი მან მეოთხედფინალში დაკარგა იაპონელ ტაკეში სასაკისთან მარცხით. იქამდე ჩვენებურმა ბრიტანელი სტიუარტ მაკოტი ჩამოიშორა გზიდან, რეპეშაჟში კი რუს მურატ ხაბაჩიროვსა და იტალიელ ანტონიო ესპოზიტოს აჯობა. გრანდ სლემის მესამე ადგილით ზებედა

რეხვიაშვილმა 500 სარეიტინგო ქულა გამოიმუშავა.

ურალში „ჯვაროსანთა“ სახელით ტატამზე სულ რვა ძიუდოისტი გავიდა. პირველ დღეს კონკურენციაში ამირან პაპინაშვილი (60 კგ) და ზვიად კაპანაძე (73 კგ) ჩაებნენ, მაგრამ შეჯიბრებას საწყისი ეტაპიდანვე გამოეთიშნენ.

მეორე დღეს ირაკლი ცირეკიძის გუნდიდან რეხვიაშვილის გარდა იჭიდავეს: თამაზ კირაკოზაშვილმა (81 კგ), ონისე სანებლიძემ, დავით ოზბეთელაშვილმა (ორივე 100 კგ), გურამ თუშიშვილმა და ონისე ბუღაძემ (ორივე +100 კგ). სანებლიძე, ოზბეთელაშვილი და თუშიშვილი პირველსავე შეხვედრაში დამარცხდნენ, კირაკოზაშვილმა ერთი ეტაპი დაძლია, ბუღაძე კი რეპეშაჟის ფინალამდე მივიდა და საბოლოოდ მეხუთე ადგილს დასჯერდა.

ვიტალი ჯაფარიძე

საფეხბურთო მოზაიკა

მადრიდის „რეალის“ ფორვარდი კრიშტიანუ რონალდუ ცოტა ხნის წინათ კიდევ ერთხელ აღიარეს. საქმე ის გახლავთ, რომ ოქროს ბურთის ხუთგზის მფლობელი პორტუგალიაში 2017 წლის საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელეს და ამ ჯილდოს რონალდუ შემდეგი კომენტარით გამოეხმაურა:

„ყოველთვის ვამბობ, რომ საუკეთესო ვარ და ამას მოედანზე ვამტკიცებ. მადლობელი ვარ ამ ჯილდოსთვის. ეს არის არა მარტო ჩემი, არამედ ჩემი კოლეგების აღიარება. 2017 წელი ფანტასტიური და დაუვიწყარი იყო როგორც გუნდური, ასევე ინდივიდუალური თვალსაზრისით.

ჩემი მთავარი ჯილდო ჩემი შვილები არიან, ხოლო მეხუთე ოქროს ბურთი მეორე ყველაზე მნიშვნელოვანი მონაპოვარი გახდა.

ჩემი კიდევ ერთი შარშანდელი რეკორდი სამი შვილია, რომელიც 3 თვის განმავლობაში გვეყოლა“.

შეგახსენებთ, რომ პორტუგალიელ ფეხბურთელს სულ 4 შვილი ჰყავს. უფროსი 6 წლისაა, რომელიც სუროგატი დედისგან შეეძინა, გასული წლის ივნისში კი ტყუპები ასევე სუროგატმა დედამ გაუჩინა. რაც შეეხება მეოთხეს — მისი დედა ჯორჯინა როდრიგესია.

VAR — **აღნიშნული ტექნოლოგია ევროპის ტოპ ჩემპიონატებში ეტაპობრივად მკვიდრდება და მომდევნო სეზონიდან მას ჰოლანდიის ერედივიზიონშიც გამოიყენებენ. აღნიშნულ ინფორმაციას იქაური ფეხბურთის ფედერაცია ავრცელებს.**

მიუხედავად არასრულყოფილი სამუშაოებისა, ვიდეოგამეორების სისტემამ უკვე საფუძვლიანად მოიკიდა ფეხი ინგლისში, იტალიასა და გერმანიაში.. ამის დასტურად ნიდერლანდელებს სერია A-ს 29-ე ტურში გამართული მატჩი მოჰყავთ, სადაც „მილანი“ „კიევოს“ დაუპირისპირდა და კუტრონეს გოლი მხოლოდ ვიდეოგამეორების შემდგომ ჩათვალეს.

ცოტა ხნის წინათ გადაწყდა, რომ აღნიშნულ ტექნოლოგიას მსოფლიოს 2018 წლის ჩემპიონატზეც გამოიყენებენ.

„ნაპოლის“ მთავარი მწვრთნელი მაურიციო სარი მის ირგვლივ გავრცელებულ ჭორებს გამოეხმაურა და განაცხადა, რომ აუცილებლად დატოვებს კლუბს, თუ მის საქმეში სხვები ჩაერევიან.

„მე არ გავაგრძელებ კონტრაქტს იმ შემთხვევაში, თუ სრული თავისუფლება არ მექნება და ჩემს საქმეში ჩაერევიან. ეს არ იქნება სამართლიანი.

წლების წინათ სერია B-ში ვმუშაობდი, ასე რომ, პატივია ვიბრძოლო ტიტულისთვის ისეთი გუნდის წინააღმდეგ, როგორიც „იუვენტუსია“. ჩვენ რთული გზა გვაქვს გასავლელი, თუმცა, ყოველთვის ვცდილობთ, რომ ლამაზი თამაში ვაჩვენოთ. ეს ჩვენი სტილია“, — განაცხადა სარიმ.

აქვე გეტყვით, რომ ცოტა ხნის წინათ გავრცელდა ინფორმაცია, თითქოს იტალიელ სპეციალისტს ლონდონის „ჩელსის“ მთავარი მწვრთნელის პოსტზე იწვევენ, თუმცა, ეს მაშინ მოხდება, თუ ანტონიო კონტე „არისტოკრატებს“ დატოვებს. რაც შეეხება კონტრაქტს, სარის „ნაპოლისთან“ ხელშეკრულება 2020 წლამდე აკავშირებს.

გიორგი შოთაძე

◎ რაგბი ჩვენი თამაშია!

უმცროსები — პოლონეთში

გუშინ ქაბუკი „ბორჯღალოსნები“ (18წ.) პოზნანში (პოლონეთი) გაემგზავრნენ, სადაც 25-დან 31 მარტის ჩათვლით რაგბი ევროპის 18-წლამდელთა ჩემპიონატში ითამაშებენ.

დავით ჩავლეიშვილის შეგირდები მეოთხედფინალში ჰოლანდიის ნაკრებს შეხვდებიან და მატჩი თბილისის დროით 15 საათზე დაიწყება. 28 მარტს ნახევარფინალებია და ჩვენი მეტოქე პორტუგალიისა და რუსეთის წყვილში გამარჯვებული იქნება, ხოლო 31 მარტს ფინალებია.

ფორმატი

18-წლამდელთა ევროპის ჩემპიონატის ფორმატი რამდენჯერმე შეიცვალა. 2009 წლიდან ტურნირში სხვადასხვა ფორმით ჩვენი დონის ქვეყნების ნაკრებები ჩაერთვნენ, 2012-2015 წლებში კი 8-გუნდა ტურნირში ექვსი ერის ყველა წარმომადგენელი მონაწილეობდა.

ამ პერიოდში უმცროსი „ბორჯღალოსნები“ დიდ წინააღმდეგობას უწევდნენ სახელოვან მეტოქეებს და მინიმუმ ერთი გუნდის დამარცხებას მაინც ახერხებდნენ, ხოლო 2015 წელს ირლანდიისა და იტალიის დამარცხების შემდეგ ფინალში გავიდნენ და უკან მოიტოვეს ინგლისი, იტალია, უელსი, ირლანდია და შოტლანდია.

სამწუხაროდ, ამის შემდეგ ექვსი ერის ბობოლებმა 18-წლამდელთა ევროპის ჩემპიონატი დატოვეს — მათგან მხოლოდ საფრანგეთი დარჩა და ჩვენმა ნაკრებმა ზედიზედ სამი ფინალი სწორედ „სამფეროვნებთან“ ითამაშა.

2017 წელს ევროპის ღია ჩემპიონატში იაპონია, კანადა და აშშ ჩაერთვნენ, რამაც ტურნირს დამატებითი ხიბლი შესძინა, თუმცა, ფინანსური მოსაზრებით წელს მათ გამოსვლაზე უარი თქვეს და ევროპის ჩემპიონატს ძლიერთაგან კვლავ მხოლოდ საფრანგეთი შემორჩა.

ევროპის ჩემპიონატის მონაწილენი ერთი კვირის განმავლობაში ყოველ მესამე დღეს სამ თამაშს გამართავენ. მეოთხედფინალების გამარჯვებულები თასის ნახევარფინალში გადიან, ხოლო დამარცხებულები მე-5 ადგილისთვის აგრძელებენ ბრძოლას. ევროპის ჩემპიონატზე ყველა ადგილი თამაშდება და, შესაბამისად, ყველა გუნდს სამ-სამი მატჩის გამართვა უწევს.

მზადება მეოთხე ფინალისთვის

უმცროსი „ბორჯღალოსნები“ ევროპის ჩემპიონატისთვის 2017 წლის შემოდგომიდან ემზადებიან. სელექციის შემდეგ გუნდი პირველ შეკრებაზე ნოემბრის ბოლოს შევიდა, მეორე შეკრება კი ამა წლის იანვარში გაიარა და ადგილობრივ გუნდებთან ამხანაგური თამაშები გამართა.

მარტის დასაწყისში ჩვენი 18-წლამდელები საფრანგეთში იმყოფებოდნენ, სადაც იქაური კლუბების თანატოლებთან მართვადი ვარჯიშები, ხოლო 10 მარტს „ექს-ან-პროვანსთან“ ამხანაგური შეხვედრა გამართეს.

მიუხედავად იმისა, რომ კონტინენტის ჩემპიონატს მხოლოდ ევროპელები შემორჩნენ, გუნდის მთავარი მწვრთნელი ფიქრობს, რომ ბიჭებს მოტივაციის ნაკლებობა არ ექნებათ და იმედოვნებს, რომ საფრანგეთთან ზედიზედ მეოთხე ფინალს ითამაშებენ:

„გულდასაწყვეტია, რომ იაპონია, კანადა და აშშ ტურნირიდან გავიდნენ, თუმცა, ეს ჩვენს მოტივაციაზე არ აისახება. ამ ბიჭებისთვის რუმინეთის, პორტუგალიის, ესპანეთისა და რუსეთის წინააღმდეგ თამაში საინტერესოა, თუმცა, მათი პერსპექტივისთვის, რა თქმა უნდა, სჯობდა, რომ უფრო ძლიერი მეტოქეები გვყოლოდა. მიზანი წინა წლების მსგავსად ფინალში გასვლაა, სადაც, სავარაუდოდ, კვლავ საფრანგეთთან მოგვიწევს შეხვედრა და უნდა ვეცადოთ მათთან უფრო მეტს მივაღწიოთ“ — ამბობს დავით ჩავლეიშვილი.

კობა კობახიძე

◎ ინტერნეტიდან

სიჯყვის ქალი

ბევრი ნიჰილისტისა და წუწუნა ადამიანისგან განსხვავებით, აპენინელ მოდელსა და ერთ დროს პორნოვარსკვლავს — პაოლა საულინოს ბოლომდე სჯეროდა, რომ იტალიური „რომა“ დონეცკის „შახტარის“ უკრაინულ ბარიერს მაინც დაძლევდა და ევროპის ყველაზე პრესტიჟული საკლუბო ტურნირის მეოთხედფინალში გააღწევდა.

სხვა მრავალი ტიფოზის მსგავსად, გახდისმოყვარე „პეპელაც“ ზეიმობდა და როდესაც ზეიმისას პირობა შეახსენეს — „რომა“ თუ გავა, „ოლიმპიკოს“ ტრიბუნებზე სახალხოდ და საქვეყნოდ ჩემს მკერდს გამოვამზეურებო, პაოლას გაეცინა და უპასუხა — მაგის მეტი, აბა, რა ვიცი და რა ხელმეწიფებაო...

სანამ ამორალურ დიაცს გავეშებულ მგელთა წინაშე მაისური შემოუძარცვავს, მანამდე გეტყვით, რომ ეს ქალი უკვე კარგა ხანია ირიცხება მათ შორის, რომლებიც უარს არაფერზე ამბობენ და პაოლა საულინოც ესოდენ პოპულარული თავისი ხასიათის სწორედ ამ დიდებულმა შტრიხმა გახადა.

როსტომ რაჭველიშვილი

რელიგიური ტურიზმი საქართველოში

ტურიზმის **სფეროს წარმომადგენლები ამბობენ, რომ საქართველოს აქვს პოტენციალი, განავითაროს პილიგრიმობა, როგორც რელიგიური ტურიზმი, მაგრამ ამ კუთხით ბევრი არაფერი კეთდება.**

ილიაუნის ასოცირებული პროფესორი **გიორგი ქემერტელიძე** ამბობს, რომ საქართველოში 12 000-ზე მეტი ეკლესია-მონასტერია, ასევე, არის სიწმინდეები — ქრისტეს კვართი და წმინდა ნინოს ჯვარი, რაც რელიგიური ტურიზმის გასავითარებლად კარგ პირობას იძლევა.



„არ ვიცი, რამდენად ხშირად სთავაზობენ ტურისტული კომპანიები ტურისტებს ჩვენს ქვეყანას ამ კუთხით, მაგრამ,ვფიქრობ, საკმარისად არა... თუნდაც, იტალიას რომ შევადაროთ, იქ 30 მილიონი კაცი მხოლოდ მოსალოცად ჩადის“.

გიორგი ქემერტელიძე ლაპარაკობს, ასევე, იმ დაბკოლებებზე, რომელთაგან ერთ-ერთი არის ტაძრების გადაკეთება, მის არქიტექტურაში ჩარევა:

„ახლახან ვიყავი დარიალის ხეობაში. იქ არის ახალი, დიდებული ტაძარი, მაგრამ კარი აქვს რკინის, წითელი, რომელიც საერთოდ არ შეესაბამება“.

ტურიზმის სპეციალისტი **მთვარისა თარხნიშვილი** შენიშნავს, რომ დღეს მომლოცველებს ძირითადად აინტერესებთ მთის ეკლესიები (სვანეთი, ყაზბეგი), ასევე თბილისი, მცხეთა, ვარძია და გელათი. ამასთან, აინტერესებთ მამა გაბრიელის საფლავი და ვლაქერნობა ზუგდიდში. მისი თქმით, იყო შემთხვევები, როდესაც ტურისტებმა უკვე ჩამოსულებმა შეიტყვეს დავით გარეჯის შესახებ და იქაც წავიდნენ.

„ყველა ტაძარს აქვს თავისი დღესასწაული, რამე განსაკუთრებული, რის შესახებაც შეუძლიათ, უფრო მეტად გაავრცელონ ინფორმაცია, რომ ტურისტებმაც გაიგონ და მივიდნენ. ეკლესიამაც უნდა იაქტიუროს.

რაც შეეხება პირობებს, ინფრასტრუქტურა ცუდია, ძვირია სასტუმროებიც, ტუალეტები — საშინელი“.

მთვარისა თარხნიშვილი ამბობს, რომ პილიგრიმები ხშირად ესწრებიან წირვას. თუ წირვა არ არის, დაუჯდომელსა და პარაკლისს კითხულობენ. მოსალოცად ჩამოსული ტურისტი იმითაც განსხვავდება, რომ საღამოს გასართობად წასვლას არ გთხოვს, უფრო ის აინტერესებს, ამ დროს ლოცვა სად ტარდება. არის შემთხვევები, როცა უშუალოდ რომელიმე სასულიერო პირთან შესახვედრადაც ჩამოდიან.

- **2017 წელს ტურიზმის ეროვნულმა ადმინისტრაციამ გამოსცა კატალოგი მართლმადიდებელ მომლოცველთათვის.**
- **კატალოგი ქართულად, ინგლისურად და რუსულად არის გამოცემული. გაკეთდა, ასევე, ებრაული მემკვიდრეობის კატალოგი.**
- **თუ რამდენი მომლოცველი შემოდის საქართველოში, ტურიზმის ეროვნულ ადმინისტრაციას მონაცემები არა აქვს.**

„ძალიან აინტერესებთ ქართველი წმინდანების ცხოვრება, სად ვინ არის დაკრძალული. უნდათ მივიდნენ და მოილოცონ. სულ ფურცელი და კალამი უჭირავთ, ოღონდ ვინმე წმინდანი უხსენო. სამწუხაროდ, ბუკლეტებიც არ არის უცხო ენებზე, სადაც მათ შესახებ ინფორმაცია იქნება, ან თუ არის რამე წიგნი, ძალიან ძვირია. მაგალითად, ერთი 80 ლარი ღირდა“.

მართლმადიდებლების გარდა, უცხოეთიდან ჩამოდიან სხვა კონფესიის წარმომადგენლებიც და ისინიც — მოსალოცად: მუსლიმები ახალციხის ციხის, ბათუმისა და ხულოს მეჩეთების სანახავად, ებრაელები — ონისა და ახალციხის სინაგოგის. ასევე, მოდიან კათოლიკეებიც, რადგან საქართველოში ძველი კათოლიკური ტაძრებიც საკმაოდაა, მაგალითად, თბილისში, ქუთაისში, გორსა და სოფელ უდეში.

კომპანია „თიემ ტური საქართველოს“ წარმომადგენელი **თინათინ მოსიაშვილი** ამბობს, რომ რელიგიური ტურიზმის თვალსაზრისით განსაკუთრებით საინტერესო ადგილია თბილისი, სადაც სხვადასხვა კონფესიის სალოცავები ერთად იყრის თავს.

„შეიძლება დაგიკავშირდნენ რუსეთიდან, უკრაინიდან, ბელარუსიდან და ჩამოვიდეს ჯგუფი, ხშირად მოძღვართან ერთად. ეს ჯგუფი მხოლოდ ტაძარს კი არ ნახულობს, ლოცვებსაც ესწრება“.

რაც შეეხება პრობლემებს, თინათინ მოსიაშვილი ამბობს, რომ ხშირად პრობლემაა გიდების განათლება. ამასთან, მასპინძელმა ორგანიზაციამ უნდა გაითვალისწინოს, თუნდაც, კვების საკითხი, მაგალითად, სამარხვო და „ქაშერული“ საჭმელი. თავის მხრივ, მთვარისა თარხნიშვილიც აღნიშნავს, რომ ებრაელები რამდენჯერაც ჩამოვიდნენ, თავიანთი ჭურჭელი ჩამოიტანეს და სამზარეულოშიც თავად მოამზადეს საჭმელი.

სააგენტოს ტურისტული პროდუქტისა და მცირე ინფრასტრუქტურის განვითარების სამმართველოს უფროსი თამარ მაისურაძე ამბობს, რომ ადმინისტრაციის მარკეტინგული კამპანია მხოლოდ ერთი მიმართულების პოპულარიზაციას კი არ ისახავს მიზნად, არამედ, ზოგადად, ქვეყნისა და მათ შორის, მისი კულტურისა და ხუროთმოძღვრების წარმოჩენას ცდილობს.

თეა თოფურია

სანთელი

„კუსტბის“ საზოგადოება სამძიმარს უცხადებს უდიდეს მწუხარებაში მყოფ ბატონ ლადო ბოკერიას და მის ოჯახს შვილის

დათოს

გარდაცვალების გამო.

ვინ მოჭრა ხეები?

„ფეისბუქ“ მომხმარებელი ირაკლი ქართველიშვილი სოციალურ ქსელში საკუთარ გვერდზე მის მიერ მუხათწყაროსთან გადაღებულ ფოტოს და ვიდეოს აქვეყნებს. მისი ინფორმაციით, დაახლოებით 1 ჰექტარ ფართობზე 70-წლოვანი ფიჭვნარია გაჩეხილი. ქართველიშვილი წერს, რომ პოლიციაში მას განუმარტეს, რომ ხეებს მაღალი ძაბვის ბოძების სიახლოვეს „ენერგო პრო ჯორჯია“ ჭრის.

ინფორმაციას ეხმაურებიან „ენერგო პროში“, სადაც აცხადებენ, რომ აღნიშნულ ტერიტორაზე „ენერგო-პრო ჯორჯია“ მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემ ხაზებს არ ფლობს, შესაბამისად კომპანია გაჩეხვის სამუშაოებს არ აწარმოებს.

„დურგალი — პირველი“ გამარჯვებული

არჩილ გოგეჯიშვილი 2016-2017 წლებში სწავლობდა სსიპ საზოგადოებრივ კოლეჯში „სპექტრი“ საგანმანათლებლო პროგრამაზე „დურგალი“. მან რამდენიმე თვეში შეძლო, შეექმნა თავისი ნამუშევრების კოლექცია. სწავლის დაწყებიდან 6 თვის შემდეგ კოლეჯი „სპექტრის“ და საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკის ორგანიზებით ეროვნულ ბიბლიოთეკაში მოეწყო არჩილის ნამუშევრების საქველმოქმედო გამოფენა-გაყიდვა, შემოსული თანხა კი სრულად გადაერიცხათ ასოციაცია „ანიკას“ ბენეფიციარებს. სწავლის დასრულების შემდეგ მან მიიღო მონაწილეობა პირველ პროფესიულ ჰაკატონში, შემდეგ ერთი თვის განმავლობაში მან თავის გუნდთან ერთად შეძლო, დაემზადებინა თავისი იდეის პროტოტიპი, რომელმაც დაიმსახურა ჰაკატონის ჟიურის დიდი მოწონება და გახდა პირველი პროფესიული ჰაკატონის გამარჯვებული. სწავლის დამთავრების შემდეგ ის გახდა კომპანია „ARTIZANI“-ს პარტნიორი და კომპანია „ვუდ ბოქსის“ დირექტორი.

არჩილმა თავისი გატაცება თავის პროფესიად აქცია და მიზანდასახულობით შეძლო, გამხდარიყო არჩეული პროფესიის ღირსეული წარმომადგენელი.

რევაზ თოფურია

სასამართლომ ყაჩაღობაში ბრალდებული დამნაშავედ ცნო

ზუგდიდის **რაიონულმა სასამართლომ სრულად გაიზიარა ბრალდების მხარის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები და ყაჩაღობაში ბრალდებული ზ.ფ. დამნაშავედ ცნო.**



2017 წლის 16 მარტს, ზ.ფ. მივიდა ქ.ზუგდიდში მდებარე მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „ლენდოში“ და თანამშრომლების მიმართ იარაღის დემონსტრირებით და სიცოცხლის მოსპობის მუქარით დაეუფლა მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „ლენდოს“ კუთვნილ თანხას — 5055 ლარის ოდენობით და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა.

2018 წლის 25 იანვარს ზ.ფ.-ს ბრალდება სისხლის სამართლის კოდექსის 179-ე მუხლის პირველი ნაწილით (ყაჩაღობა) წარედგინა.

ზუგდიდის რაიონულმა სასამართლომ ზ.ფ. სრულად სცნო დამნაშავედ წარდგენილ ბრალდებაში და საბოლოოდ სასჯელის სახედ და ზომად 5 წლით, 4 თვით და 15 დღით თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა.

დიდებულ მამულიშვილს

გურამ საღარაძეს

ვულოცავთ კიდევ ერთ მზიან დაბადების დღეს

ძვირფასო გურამ,

საქართველოს სახელოვანო შვილო და ბეჭებზე დაუდებელო ფალავანო, დღეს შენი სათაყვანებელი სამშობლო მთელ მსოფლიოში თუ სახელგანთქმული ქვეყანაა, შენი წვლილი ამ საქმეში უაღრესად სათვალმჩენოა. იმ მამულიშვილურ მძლავრ მხრებს შორის, საქართველოს ცაფირუზი ასე საიმედოდ რომ უჭირავთ, შენი ფოლადისებრი მხრები აშკარად გამორჩეულია.

როგორც მშობელი ამაყობს თავისი კარგი შვილის ყოველი წარმატებით, ისე ამაყობს ჩვენი ხალხი შენით, ვინც საქართველოს წილი სპორტული მეოცე საუკუნე შენი ფალავნობის ფრიად კაცადკაცურ ამბავს საამაყოდ გადასცემს მომავალ თაობებს. დღეს კი ჩვენ ვამაყობთ, შენი დიდად მადლიერი და პატივისმცემელი თანამედროვენი შენი მსოფლიოს ორგზის ჩემპიონობით, ორგზის ფინალისტობით, ევროპის ჩემპიონობით, ტოკიოს ოლიმპიადის ვერცხლის პრიზიორობით, სსრ კავშირის სამგზის ჩემპიონობით.

მაგრამ მთავარი მაინც შენი დიდი კაცობა და ადამიანობაა, შენი ქვეყნისთვის ესოდენ საჭირო საზოგადოებრივი მოღვაწეობაა, წიგნები, რომლებიც შენ შექმენი, ფიზიკურ სიმწიფესთან ერთად სულიერადაც აძლიერებს და ამაღლებს ჩვენს ახალგაზრდობას, რომლისთვისაც მუდამ მისაბაძი იყავი და იქნები კვლავაც.

დასასრულ, კიდევ ერთხელ გილოცავთ კიდევ ერთ მზიან დაბადების დღეს. და, ალბათ, ზედგამოჭრილი იქნება აქ ჩვენი საყვარელი ლადო ასათიანის დაუვიწყარი სტრიქონების გაშენებურება:

რადგან სიცოცხლე ასე ნავარდობს,
სიკვდილის ყველა კარი ჩარაზეთ,
და იმ ბედნიერ დღეს გაუმარჯოს,
როცა შენ გაჩნდი ამ ქვეყანაზე.

შენ სიცოცხლის შვილი ხარ, მზიანი გულის კაცთან სიბერეს რა ხელი აქვს! იცოდე, ძალიან გვიყვარხარ.

სპორტული კლუბი „დინამო“;
ვეტერან მოჭიდავეთა კავშირი;
გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“

ქვევრი – ქართული ფენომენი

ქვევრი ქართული კულტურის შემადგენელი ნაწილია. საქართველოში აღმოჩენილი ქვევრის ტიპის უძველესი ჭურჭელი განეკუთვნება ძვ. წ. VI-V ათასწლეულებს. ახლახან ქვევრში ღვინის დაყენების მეთოდს, რომელიც 8 ათას წელს ითვლის, იუნესკოს (UNESCO) არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი მიენიჭა. ქვევრის ქართულ წარმომავლობაზე მეტყველებს ის გარემოება, რომ ამ ერთი შეხედვით ერთგვაროვანი და გლუვი საგნის ყველა ნაწილს თავისი სახელი აქვს.

მაგალითად, **ქვევრის თავი** ჰქვია ქვევრის იმ ნაწილს, რომელიც მიწის ზემოთ არის დატოვებული და რომელსაც თავისივე ზომის სარქვლით დახურავენ ხოლმე, მაგრამ „ქვევრის თავი“ ასევე ითქმის უფრო ფართო მნიშვნელობითაც. იტყვიან, ქვევრის თავზე ვისხედით, ღვინო ქვევრის თავზე დავლიეთო. აქ იგულისხმება ადგილი უკვე ქვევრის ირგვლივი.

რაც შეეხება ქვევრის სხვა ნაწილებს. გიორგი შატბერაშვილის „თვალადური ქართულის ჭაშნიკის“ მიხედვით, **ქვევრის პირი** უშუალოდ ქვევრის ზემო ნაწილია, რომელიც მიწის ზემოთ რჩება, სანამ დაატალახებენ და დაიფარება.

ქვევრის ყელი ეწოდება ქვევრის ზემო, მოწვრილებულ ნაწილს.

ქვევრის ბეჭი — ესაა ქვევრის ყელის ქვემო ნაწილი.

ქვევრის მუცელს ქვევრის შუაწელს, შუასარტყელსაც ეძახიან. საქმის მცოდნენი იტყვიან ხოლმე, საუკეთესო ღვინო შუასარტყელშიაო!

ქვევრის ფილი, ანუ ქვევრის ძირი. ღვინო რომ მოცოტავდება, იტყვიან, ღვინო ფილშიღა დგაო.

ქვევრის ძირი — ესაა ქვევრის ფილის გარეთა მხარე — იგივე **პოჭოჭიკი**, იგივე **თეძოს თავი**.

ქვევრის ქუდი, ანუ **„მაჭრის ქუდი“** — დუღილის დროს მაჭრის თავზე მოგდებული და გამაგრებული ჭაჭა და ჩენჩო.

სულხან-საბა ორბელიანის „ლექსიკონი ქართულის“ მიხედვით, ღვინის დასაყენებელი ყურძნის ტკბილის საცავს **ჭური** ეწოდება. ძველად საქართველოში განასხვავებდნენ სხვადასხვა ზომის ჭურს: დიდთა ეწოდების **ქვევრი** და მისსა შემდეგსა — **ყვიბარი** და მისსა უმცროსსა — **ქოცო**.

ქვევრის დამზადებას საშუალოდ სამი თვე სჭირდება. ძირითადი დრო მის ამოშენებასა და გაშრობაზე მიდის. ქვევრების ამოშენების შემდეგ მათ საგანგებო ღუმელში ათავსებენ, სადაც გამოწვის ურთულესი ეტაპი იწყება.

საქართველოს მეღვინეობის ერთ-ერთ უმთავრეს რეგიონში — კახეთში ქვევრები მარანშია ჩაფლული, დასავლეთ საქართველოში კი ღვინოს ჰერმეტულად დახურულ ჭურებში (ქვევრი) ღია ცის ქვეშ ინახავენ.

ჯიმშერ რეხვიაშვილი

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
სულხან-საბას ქ. №3

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
293-13-34
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე“

იბეჭდება გამომცემლობა
„კოლორ პრესში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

„საქართველოს რესპუბლიკა“ შენი გაზეთია, აუცილებლად გამოიწერე, იყიდე, წაიკითხე!

გასაცინებელი ა(მ)ბები

ნამდვილი გრძნობა

ჟაბუკი გოგოს თვალებაჟუჟუნებული უცქერის და გოგო ეკითხება:

— მითხარი, მართლა გიყვარვარ?

— რასაკვირველია.

— ისე, როგორც ადამს ევა უყვარდა?

— უფრო ძლიერად!

— მერე ეგ შესაძლებელია?

— რასაკვირველია, ადამს ხომ არჩევნის საშუალება არ ჰქონდა!

გასეირნება

ერთმა ღრმად მიმხცოვნულმა, რომელიც ძლივს დადიოდა, თქვა, — სულ მთაში ხომ არ უნდა ვიყო, ერთხელ ბარში, ტყის პირასაც დავისვენებო და გადაწყვიტა, მთიდან ბარში ჩასვლა. ბარში ეტლით ჩაიყვანეს და ტყის პირას შვილიშვილის მეთვალყურეობის ქვეშ დატოვეს. პაპა და შვილიშვილი თან ისვენებდნენ, თან ტკბილად ჭუკჭუკებდნენ, უცებ ტყიდან უზარმაზარი დათვი გამოვიდა და პირდაპირ იმათკენ აიღო გეზი. შიშისგან თავზარდაცემული შვილიშვილი თავქუდმოგლეჯილი დაიტიშა და სახლში შევარდა:

— ჩვენს თავს დიდი უბედურება დატრიალდა, ჩვენი პაპა დათვმა ჩაახრამუნა!

— სისულელეს ნუ ლაპარაკობ, პაპაშენი უკვე თხუთმეტი წუთია, რაც შინ არის!.. — უთხრა დედამ.

მზერა მომავალში

ორი მკითხავი ხვდება ერთმანეთს.

— შენ ჩემო კარგო, ყველაფერი საუკეთესოდ აგეწყო. ახლა მე მითხარი, ჩემი ცხოვრება როგორ აეწყობა?

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.4401; ევრო - 3.0003;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.4239;
100 რუბლი - 4.2328; თურქული ლირა - 0.6197;
აზერბაიჯანული მანათი - 1.4370;
1000 სომხური დრამი - 5.0888.

ამინდი 21 მარტისთვის
აღმოსავლეთი საქართველო:
ბარი - ღამე +7, დღე +18
მთიანი რაიონები - ღამე +3, დღე +13
დასავლეთი საქართველო:
ბარი - ღამე +10, დღე +28
მთიანი რაიონები - ღამე +7, დღე +14
თბილისი: ღამე +10, დღე +16

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 293-13-34,
599-79-76-79
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge